საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 19 სექტემბერი, 2015 წელი.

№176 (7821)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფაქვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

საქართველოში სურსათი ძვირდება, მსოფლიოში კი – იაფდება

7



ბოსტანშია გადასული,

ანუ გამოიძერწება თუ არა გიგი უგულავასგან ახალი „რევოლუციური“ გმირი?!

2 3

აბსურდის სათავე

პროკურატურაა!

გია ხუხაშვილი: გიგი უგულავას ციხეში შებრუნება „ქართული ოცნებისთვის“ მეორე უბედურება იქნება

მერაბ შათირიშვილი: მგლები ნიღაბს მოიხსნიან, დაგლეჯის გეშინოდეთ, კოჰაბიტაციის ავტორებო!

საქალაქო სასამართლო აცხადებს...

თბილისის საქალაქო სასამართლო გიგი უგულავას გათავისუფლებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. სასამართლო განმარტავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილება სადავო ნორმის ნორმატიული შინაარსის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ, ძალაში შევიდა სასამართლო სხდომის დარბაზში მისი გამოქვეყნების მომენტიდან, რაც წარმოადგენდა გიორგი უგულავას მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის გაუქმების საფუძველს. „ინტერპრესნიუსი“ სასამართლოს განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

„2015 წლის 17 სექტემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განჩინების საფუძველზე, გაუქმდა გიორგი უგულავას მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა და იგი სასამართლო სხდომის დარბაზიდან გათავისუფლდა. სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციითა და საქართველოს ორგანული კანონით საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ.

სასამართლოში წარმოდგენილი დაცვის მხარის შუამდგომლობა ბრალდებულ გიორგი უგულავას მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების გაუქმების თაობაზე, სასამართლომ კოლეგიური შემადგენლობით განიხილა.

გიორგი უგულავას ადვოკატებმა შუამდგომლობას საფუძვლად დაუდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ მუხლის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს, კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის პატიმრობას, თუ ამ საქმეზე ბრალის წაყენების ან ბრალის წაყენებისთვის საკმარისი საფუძვლის გამოვლენის შემდეგ მას პატიმრობაში ერთობლივად გატარებული აქვს 9 თვე მის მიმართ მიმდინარე ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში“.

სასამართლომ განიხილა წარმოდგენილი შუამდგომლობები, მოისმინა მხარეთა პოზიციები და მიიჩნია, რომ დაცვის მხარის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილება სადავო ნორმის ნორმატიული შინაარსის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ, ძალაში შევიდა სასამართლო სხდომის დარბაზში მისი გამოქვეყნების მომენტიდან, რაც წარმოადგენდა გიორგი უგულავას მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის გაუქმების საფუძველს.

შეგახსენებთ, საქმე ეხება 7 ნოემბრის აქციის დარბევის, „ტელეიმედში“ შეჭრის, მთაწმინდის პარკის გასხვისებისა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ეპიზოდებს. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე მომდევნო სხდომა გაიმართება 2015 წლის 24 სექტემბერს 12 საათზე“, – ნათქვამია განცხადებაში.

მსოფლიოს ერთიანი სარტყელი,

ანუ ჩინეთიდან ევროპაში – საქართველოს გავლით

5

4 მოძრაობის გადასახადი – მერია ხალხის რეაქციას ამოწმებს

ღვთისმშობლის კვართი ზუგდიდში რჩება

ზუგდიდიდან ღვთისმშობლის კვართის გადაბრძანებასთან დაკავშირებით საპატრიარქო განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„ზუგდიდიდან ღვთისმშობლის კვართის გადაბრძანებასთან დაკავშირებით საზოგადოებაში ბუნდოვანი სიტუაცია შეიქმნა მას შემდეგ, რაც ხობის ადგილობრივი ხელისუფლებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები შეხვდნენ მის უწმინდესობას ყაზბეგში და გაავრცელეს ინფორმაცია, რომ კათოლიკოს-პატრიარქი თანახმა იყო, ეს სიწმინდე ერთი დღით დაბრძანებულიყო ხობის მონასტერში; მაგრამ არ ითქვა იმ პირობის შესახებ, რომ პროცესს არ უნდა მოჰყოლოდა შფოთი და დაპირისპირება.

მათი ნათქვამის მიხედვით, იქმნებოდა შთაბეჭდილება იმისა, რომ ეს თემა ყველა დონეზე იყო შეთანხმებული და პრობლემები არ შეიქმნებოდა, მაგრამ დღეს ზუგდიდში განვითარებულმა მოვლენებმა საპირისპირო სურათი წარმოაჩინა.

ბუნებრივია, მისი უწმინდესობაც და, ზოგადად, ეკლესიაც ასეთ ვითარებაში მხარს ვერ დაუჭერს ღვთისმშობლის კვართის გადაბრძანებას, რაც საქართველოს საპატრიარქოს 14 სექტემბრის განცხადებაშიც გარკვევით იყო დაფიქსირებული.

შევნიშნავთ იმასაც, რომ რადგან ეს სიწმინდე დაცულია მუზეუმში, სახელმწიფოს მიერ და ეკლესია მასზე პატრონაჟს ვერ ახორციელებს, თავისი პოზიცია უნდა დააფიქსიროს ხელისუფლებამაც, მით უმეტეს, რომ თავიდან თანხმობა მათი მხრიდან იქნა გაცემული“, – ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

მოგზაურობა 33 საუკუნის წინანდელ, მსოფლიოში პირველ ბოტანიკურ ბაღში

6



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ დღესასწაული

მარიამ ღვთისმშობლის შობა

მახათას მთაზე მშენებარე ტაძარზე ზეგ 5-მეტრიანი ჯვარი აღიმართება

21 სექტემბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ღვთისმშობლის შობის დღესასწაულს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ უფალმა შეისმინა მოხუცებულ იოაკიმე და ანას ვედრება, წყალობით გადმოხედა მათ ოჯახს და გალილეის პატარა ქალაქ ნაზარეთში დაიბადა მარიამ — მომავალი დედა იესოსი!

ქრისტიანობის ამ უდიდეს დღესასწაულს განსაკუთრებული საზეიმო წირვა-ლოცვით ხვდებიან დიდუბის, გელათის, შუამთის, ბეთანიისა და მახათას მთაზე მდებარე მშენებარე ტაძრის მრევლი და მომლოცველები. დედაქალქში მახათას მთაზე მშენებარე ივერიის ღვთითისმშობლის სახელობის ტაძარი და სამონასტრო კომპლექსი ამ დღეს ორმაგად დღესასწაულობს...

... ხუთმეტრიანი (იწონის 3 ტონას!) ჯვრის აღმართვა სიმბოლურიცაა ივერიის ღვთისმშობლის ტაძარზე, ჯვარი კი აგვისტოს თვეში დააბრძანეს ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე. ჩვენ მორწმუნეებს შესაძლებლობა გვქონდა ვმთხვეოდით (და მოგველოცა) სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II მიერ ნაკურთხ ჯვარს.

... ჩვენც ვადიდოთ დედაღვთისმშობელი: „შობამან, ღვთისმშობელო ქალწულო, სიხარული აუწყა ყოველსა სოფელსა, რამეთუ შენგან აღმოგვიბრწყინდა მზე სიმართლისა, ქრისტე ღმერთი ჩვენი, და ხსნა წყევა, და მოგვმადლა კურთხევა და განაქარვა სიკვდილი, და მოგვანიჭა ჩვენ ცხოვრებაი საუკუნოი“.

დღევანდელ დღეს დაბადებულ ყველა ადამიანს განსაკუთრებით ვულოცავთ ღვთისმშობლის შობას.

გიული ლიპარტია

◎ SIC!

მძიმე სტარტი

ხათუნა ლაგაზიძე:

საზოგადოების ნაწილს აღარ აქვს იმედი, რომ ხელისუფლება ხალხს ნაციონალური მოძრაობის რევანშისგან დაიცავს

ხელისუფლება უმძიმესი სტარტით იწყებს წინასაარჩევნო წელს, — ასე აფასებს პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე ქვეყანაში ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს, მათ შორის — თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას პატიმრობიდან გათავისუფლებას.

როგორც ლაგაზიძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, გასულმა ორმა დღემ, სახელმწიფოში არსებულ ბევრ მიღწევასთან ერთად, ბევრი სისტემური პრობლემა გამოკვეთა, 2016 წლის არჩევნების შედეგები კი სწორედ იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად შეძლებს ხელისუფლება ამ პრობლემებიდან თავდასხნას.

„ხელისუფლება უმძიმესი სტარტით შეუდგა წინასაარჩევნო წელს. გადავხედოთ ბოლო ერთი თვის განმავლობაში განვითარებულ მოვლენებს: კითხვები გაჩნდა მედიის თავისუფლებაში ხელისუფლების ჩარევაზე, ლარი რა მდგომარეობაშია, ყველა კარგად ვხედავთ, ელექტროენერგიაზე ტარიფმა მოიმატა, იყო კახელი გლეხების ნაციონალური ჯანყი სუბსიდირებასთან დაკავშირებით, ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში კი ვიხილეთ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება და გიგი უგულავას გათავისუფლება. ეს, დამეთანხმებით, არის უმძიმესი სურათი სახელისუფლებო ძალისთვის, რომელსაც ერთ წელში არჩევნები ელოდება“, — აღნიშნა ლაგაზიძემ.

მისივე თქმით, ამას ემატება ნაციონალური მოძრაობის რევანშის შიში, რაც საზოგადოების დიდ ნაწილში უგულავას ციხიდან გამოსვლის შედეგად გაჩნდა.

„ვფიქრობ, ზემოთ ჩამოთვლილთაგან ხელისუფლებისთვის ყველაზე მძიმე მაინც ეს არის. ხელისუფლებისთვის მძიმეა, რომ საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც 2012 წელს წავიდა და არჩევნებზე ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“, აღარ აქვს იმედი, რომ დღევანდელი ხელისუფლება ნაციონალური მოძრაობის რევანშისგან დაიცავს. ამას, სხვათა შორის, ძალიან მძიმე პროცესები ახლავს ხოლმე თავად სახელისუფლო ვერტიკალში. თუ ყველაზე ახლო წარსულთან — შევარდნაძის პერიოდთან გავავლებთ პარალელს, დავინახავთ, რომ როგორც კი მაშინ შევარდნაძის ხელისუფლების ჩამონგრევის თაობაზე გარკვეული შიში გაჩნდა, საშუალო და მაღალი რანგის ჩინოვნიკებმა მასობრივად (არა ღიად, მაგრამ ზურგსუკან) თანამშრომლობა დაიწყეს ნაციონალურ მოძრაობასთან. ასე რომ, თავად სახელისუფლო ძალის შიგნითაც გარკვეული შიდა რღვევის ელემენტები შეიძლება გაჩნდეს. უგულავას გათავისუფლება ეს არის ერთი სიმპტომი, მაგრამ თუ ამას მოჰყვა ისეთი ნაბიჯები, რომელიც რევანშის განცდას გამძაფრებს, რღვევის პროცესის შეჩერება ძალიან გაუჭირდება ხელისუფლებას“, — განაცხადა ხათუნა ლაგაზიძემ.

პოლიტოლოგის თქმით, ძნელად წარმოუდგენია, როგორი შეიძლება იყოს წინასაარჩევნოდ აღნიშნულზე უფრო მძიმე სტარტი ხელისუფლებისთვის და თუ ის სიტუაციის შემოტრიალებას შეძლებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „საოცარი პოლიტიკური ტექნოლოგიის მომსწრენი გავხდით“.

„კიდევ ერთი, რაც დაგვანახა ამ დღეებმა, არის ის, რომ 2016 წლის არჩევნები და უშუალოდ ხმების დათვლის პროცესი იქნება ურთულესი გამოცდა ხელისუფლებისა და საზოგადოებისთვისაც, რადგან სასამართლოების მიერ ამ დღეებში მიღებული გადაწყვეტილებების ფონზე იოლი სავარაუდოა, რა გადაწყვეტილებებს გამოიტანენ სასამართლოები იმ შემთხვევაში, თუ საჩივრები მიაწყდება არჩევნების შედეგების გასაჩივრების მოთხოვნით.

ამ დღეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ისიც, რომ ეს ყველაფერი არაჩვეულებრივ ფონს ქმნის ახალი პოლიტიკური ძალის ასპარეზზე გამოსასვლელადაც, რომელსაც შეეკედლება ამომრჩევლის ის სოლიდური ნაწილი, რომელსაც ნაციონალური მოძრაობის რევანშის ეშინია, მაგრამ ხელისუფლების იმედი აღარ აქვს და ეჭვი ეპარება, რომ მას შესწევს საზოგადოების დაცვის უნარი.

ერთი სიტყვით, ძალიან საინტერესო პროცესების მომსწრენი ვართ. ძნელად წარმომიდგენია, როგორი შეიძლება იყოს წინასაარჩევნოდ ამაზე უფრო მძიმე სტარტი ხელისუფლებისთვის და თუ ის ამის შემოტრიალებას შეძლებს, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საოცარი პოლიტიკური ტექნოლოგიის მომსწრენი გავხდებით“, — აღნიშნა პოლიტოლოგმა.

ესაუბრა
ხატია ხაჭაპურიძე

ბათუმსა და თბილისში უგულავას განთავისუფლებას აპროტესტებენ

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის გიორგი პაპუაშვილის ბათუმის საცხოვრებელ სახლთან საპროტესტო აქცია გუშინაც გაიმართა. არასამთავრობო ორგანიზაციები „მუნიციპალური მონიტორინგის ცენტრის“ და „პროგრესული საქართველოს“ წარმომადგენლები გორგილაძის ქუჩაზე შეიკრიბნენ და საკონსტიტუციო სასამართლოს 15 სექტემბრის გადაწყვეტილება გააპროტესტეს, რომელიც გიგი უგულავას პატიმრობის ვადებს ეხებოდა.

აქციის მონაწილეებმა პლაკატებიც გამოფინეს წარწერებით: „საკონსტიტუციო სასამართლო მკვლელების ადვოკატი“, „უსამართლო მოსამართლე“, „ნაციონალების ლაქია“ და სხვა.

აქციას ბათუმის მერიას დაქვემდებარებული შპს-ს, ავტოტრანსპორტის მონიტორინგის უფროსი გიორგი თუშმალიშვილი მეუღლესთან ერთად ხელმძღვანელობდა. „ინტერპრესნიუსის“ კითხვაზე, აქვს თუ არა მსგავსი შინაარსის აქციის ჩატარების უფლება, გიორგი თუშმალიშვილმა განაცხადა, რომ ის შვებულებაშია, თავის მოქალაქეობრივ უფლებას გამოხატავს, რითაც კანონს არ არღვევს.

აქციის მონაწილეებმა გიორგი პაპუაშვილის სახლიდან გამსახურდიას ქუჩაზე საკონსტიტუციო სასამართლოს შენობასთან გადაინაცვლეს.

* * *

ორგანიზაცია „ახალგაზრდულმა ცენტრმა“ თბილისში, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის გიორგი პაპუაშვილის საცხოვრებელ სახლთან აქცია გამართა.

ახალგაზრდებმა პაპუაშვილის საცხოვრებელ სახლთან მოსამართლის მანტია მიიტანეს, რომელზეც ხუთი ნომერია გამოსახული და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას სარჩელთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების გამო „ნაციონალური მოძრაობის ინტერესების გატარებაში“ დაადანაშაულეს.

„ჩვენ პაპუაშვილის სახლთან 5-ნომრიანი მანტია მივიტანეთ, ეზოში დავკიდეთ და მეზობლებს მივმართეთ, რომ მათ მეზობლად ცხოვრობს საკონსტიტუციო სასამართლოს ის თავმჯდომარე, რომელიც ნაციონალური მოძრაობის ინტერესებს ემსახურება. ასევე შევახსენეთ, რომ გიორგი პაპუაშვილის წინააღმდეგ სასამართლოში არაერთი საქმეა შეტანილი, მათ შორის იმ უკანონოდ ჩამორთმეულ სახლთან დაკავშირებით, რომელშიც ის ბათუმში ცხოვრობს“, — განაცხადა ორგანიზაციის წარმომადგენელმა ზურაბ ქადაგიძემ.

მისივე შეფასებით, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის საქმიანობა არის არა კონსტიტუციური, არამედ ნაციონალური მოძრაობის ინტერესებზე მორგებული.

დამოუკიდებელი მართლმსაჯულება ამყარებს საქართველოს

საძართველოში აშშ-ის საელჩო გიგი უგულავას საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლოს 16 სექტემბრის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„ძლიერი, დამოუკიდებელი მართლმსაჯულება ამყარებს საქართველოს, როგორც კანონებზე დაფუძნებული, გამჭვირვალე დემოკრატიის მქონე სახელმწიფოს იმიჯს, სახელმწიფოსი, რომელიც იცავს კანონის უზენაესობისა და სამართლიანი სასამართლოს პრინციპს მისი ყველა მოქალაქის მიმართ. ხაზს ვუსვამთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ყველა საქმე განხილულ იქნას სამართლიანი სასამართლოს უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტებისა და კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვით“, — აღნიშნულია განცხადებაში.

ვინ ვის ბოსტანშია გადასული,

ანუ გამოიძერწება თუ არა გიგი უგულავასგან ახალი „რევოლუციური“ გმირი?!

მოკლედ: საქართველოში ნამდვილად არ მოიწყენ — მართალია, პური არ არის, მაგრამ სანახაობებს ნამდვილად არ გვამადლიან...

გაუბედურებული ლარი და ძლივს ჩაწყნარებული „კახური ბუნტი“ ახლა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ ჩაანაცვლა: სასამართლომ დაადგინა, რომ გიგი უგულავა უკანონოდ იხდის სასჯელს და იგი უნდა განთავისუფლდეს.

საკონსტიტუციო განაჩენი ვერც მერაბ ტურავას ავადმყოფობამ თუ „სიმულიანტობამ“ (როგორც ამას „ნაციონალები“ და მათი „მამალი“ მხარდამჭერები ამტკიცებდნენ) გადაავადა. ვერდიქტი გამოტანილია და კასაციას არ ექვემდებარება!..

მთავარი ის კი არ არის, გამოვიდა თუ არა გიგი უგულავა ციხიდან (ან მალევე უკან შეაბრუნებენ თუ არა), მთავარი ისაა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი „ისტორიული“ გადაწყვეტილებით (აბა გაებედათ მსგავსი რამ „ნაციონალური“ რეჟიმის პირობებში) კიდევ ერთხელ ახადა ფარდა დღევანდელ ქართულ მართლმსაჯულებაში არსებულ თუ შენიღბულ უსუსურობას.

ისმება კითხვა: რა ხდება სინამდვილეში, რატომ წარმოაჩენს თავს ასე უსუსურად დღევანდელი ხელისუფლება და სადამდე მიგვიყვანს ასეთი გაუთავებელი სანახაობა?!

ძველი ფორმულა, რომ ყველა უბედურება „ნაციონალებს“ დაბრალდეს, უკვე აღარ მუშაობს — ამჯერად საუბარი არა „ნაციონალების“ მიერ გაფუჭებულ საქმეზე და მათი მხრიდან მუდმივ პრესინგზე (საბოტაჟზე) შეიძლება იყოს, არამედ იმ გაფუჭებული საქმეების სამართლებრივ შეფასებაზე, რომელიც საზოგადოებაში სამართლიანობის განცდის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს.

სამი წელი საკმარისი იყო იმისთვის, რომ „ნაციონალების“ მიერ დატოვებული „ხვრელები“ ამოვსებულიყო და ნაცვლად პერმანენტული შეტევისა, „ნაცმოძრაობა“ თავდაცვის რეჟიმზე გადასულიყო. პირიქით კი ხდება, რაც დღევანდელი მთავრობის არა მარტო არაეფექტურობას, არამედ, სრულ უუნარობასაც უსვამს ხაზს.

თუმცა, შეიძლება ეს ყველაფერი მოჩვენებითია და მმართველი კოალიცია ისე იქცევა, როგორც უნდა იქცეოდეს! ანუ, მუდმივად “ნაციონალების“ ხელისუფლებაში მობრუნების აჟიოტაჟს ქმნის, რითაც აბალანსებს (ყოველ შემთხვევაში სურს, დააბალანსოს) მათ მიმართ საზოგადოებაში არსებულ უკმაყოფილებას — ხელისუფლება დაიმედებულია, რომ ხალხი ძველი რეჟიმის დაბრუნებას არ დაუშვებს...

არის მეორე კოზირიც, რომელსაც „ქართული ოცნება“ შესანიშნავად იყენებს — ჰორიზონტზე არ ჩანს ახალი პოლიტიკური ძალა, რომელიც ერთსაც და მეორესაც („ნაცებსაც“ და „ქოცებსაც“) არენიდან გადაუძახებს!

თუმცა, არც ის არის გამორიცხული, ხალხის მოთმინების ფიალა აივსოს და ამ გულისამრევ თამაშს და ხელოვნურად დაგვირისტებულ „სანახაობას“ წერტილი დაუსვას.

ნიშანდლობლივია ერთი ფაქტორიც: ეს ყველაფერი შეგნებულად ხომ არ კეთდება იმისთვის, რომ მასების უკმაყოფილების ტალღამ საშიშ ნიშნულს მიაღწიოს, რამაც შეიძლება სახელმწიფოს პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლამდეც კი მიგვიყვანოს — ხელოვნური პროვოკაციების მოწყობა და დესტაბილიზაციის ორგანიზება დღეს საკმაოდ მარტივია... (პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლაში „ჩრდილოეთური სიმპტომები იგულისხმება, რომელიც თანდათან ძლიერდება)!

რაც შეეხება „ნაციონალების“ მხარდამჭერთა პროპაგანდას, რომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ სწორედ გიგი უგულავა ჩაუდგება სათავეში ოქტომბერში დაანონსებულ სახალხო მღელვარებას, ეს მხოლოდ გულუბრყვილო ბავშვმა შეიძლება დაიჯეროს — უგულავასნაირი დემაგოგები დღეს ლიდერობას ვერ გაქაჩავენ — ხალხი უკვე ამას აღარ ჭამს!

თუმცა, ერისთვის უფრო დიდი პრობლემაა, რომ ნამდვილი წინამძღოლი (ლიდერი) არ ჩანს, რომელიც საზოგადოებაში დაგროვილ უკმაყოფილებას (მუხტს)სასურველი მიმართულებით წაიყვანს!

საბა საბახტარაშვილი

აბსურდის სათავე პროკურატურაა!

გია ხუხაშვილი: გიგი უგულავას ციხეში შებრუნება „ქართული ოცნებისთვის“ მეორე უბედურება იქნება

პოლიტიკურად ნაციონალურმა მოძრაობამ ეს რაუნდი მოიგო, — ასე აფასებს „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას პატიმრობიდან გათავისუფლებას.

რაც შეეხება საარჩევნო გზით „აბაროტის“ აღებასთან დაკავშირებით უგულავას განცხადებებს, ხუხაშვილის აზრით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალურ მოძრაობას გამარჯვების შანსი არა აქვს.

ამასთან, პოლიტოლოგი არ გამორიცხავს, რომ გიგი უგულავა ციხეში ისევ შეაბრუნონ, თუმცა მიიჩნევს, რომ ეს „ქართული ოცნებისთვის“ „მეორე უბედურება“ იქნება.

„ხელისუფლებას პოლიტიკურად ეს რაუნდი წაგებული აქვს და წაგებული აქვს არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ გარეთაც. ახლა ნაციონალური მოძრაობა ზეიმობს, მაგრამ ვფიქრობ, ეს ზეიმი არ იქნება ხანგრძლივი. დიდი შანსია, უგულავა შეაბრუნონ, მაგრამ მისი შებრუნება „ქართული ოცნებისთვის“ მეორე უბედურება იქნება. წარმოიდგინეთ, როგორ დაინახავენ გიგი უგულავას ციხეში შებრუნებას უცხოელები, რომელზეც კითხვები ისედაც ისმის პოლიტიკურ დევნასთან დაკავშირებით. როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ადამიანი გამოდის ციხიდან და მეორე დღეს მას ციხეში აბრუნებენ, აქ უკვე ხელისუფლების მხრიდან არავითარი ახსნა არ უშველის. ის განწყობა, რაც დასავლეთშია, კიდევ უფრო გაძლიერდება“, — აღნიშნა პოლიტოლოგმა.

უშუალოდ გიგი უგულავას პატიმრობიდან გათავისუფლებას კი ხუხაშვილი „სწორს“ უწოდებს და მიიჩნევს, რომ „მთელი ამ აბსურდის სათავე“ პროკურატურაშია.

„ის, რომ უგულავა გუშინ ციხიდან გამოვიდა, არის სწორი გადაწყვეტილება. მიუხედავად იმისა, რომ მე პირადად დარწმუნებული ვარ, იმ ბრალდებების უმეტესობაში მაინც, რაც წაყენებული აქვს, ის დამნაშავეა, თუმცა ფაქტია, რომ პროკურატურამ ვერ მოახერხა გონივრულ ვადებში ამ საქმეების დასრულება. შესაბამისად, ის რომ გუშინ ციხიდან გამოვიდა, არის სწორი გადაწყვეტილება, რადგან ჩვენ ემოციებით და პირადი დამოკიდებულებით არ უნდა ვიხელმძღვანელოთ და 9 თვეზე მეტი ადამიანი მიუსჯელად ციხეში არ უნდა იჯდეს.

მთელი ამ აბსურდის სათავე კი არის პროკურატურაში ჩადებული. ყველაფერზე სწორედ ისაა პასუხისმგებელი, რადგან ვერ მოახერხა განაჩენის დადგენა ვერც ერთ საკითხზე. განვითარებულ მოვლენებს სამართლებრივ ჭრილში თუ განვიხილავთ, თვალნათლივ ჩანს, რომ პროკურატურა როგორც ბრალდების მხარე, ვერ შედგა. იქ არის ძალიან სერიოზული სისტემური პრობლემები და ეს ახლა კიდევ უფრო გამოჩნდა. რაც შეეხება სასამართლოს, ჩვენ დავინახეთ, რომ სასამართლო ნელ-ნელა იწყებს ფორმირებას, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტი, რაც ნამდვილად პოზიტიურად უნდა იყოს შეფასებული“, — განმარტა გია ხუხაშვილმა.

მოამზადა
კოტე კომლაძემ

◎ გაოცებული ხალხის აზრი

ცბიერი ბედის ირონიაა, რომ თავად უგულავამ და ნაცებმა უჩივლეს მათ მიერვე მიღებულ დრაკონულ კანონს

„წყალნი წავლენ და წამოვლენ, პრეცედენტები დარჩებიანო!“ — პუბლიცისტი ვასილ მაღლაფერიძე facebook-ის საკუთარ გვერდზე სტატუსს აქვეყნებს:

„რეალურად მოხდა ის, რომ ნაცების მიერ შემოღებული ნორმა გაუქმდა (იმედია, სამუდამოდ!), რომლის მიხედვითაც, ადამიანი შეიძლებოდა ცხრა თვეზე (ესეც ძალიან ბევრია!) მეტ ხანს მჯდარიყო ციხეში. იმედია, საქართველოში ასეთი რამ აღარ მოხდება, რაც კარგია!

ცბიერი ბედის ირონიაა, რომ თავად უგულავამ და ნაცებმა უჩივლეს მათ მიერვე მიღებულ დრაკონულ კანონს, რომელიც ჩრდილოეთ კორეას გვამსგავსებდა. საკუთარი ხელით ავსებენ სხვისთვის ნათხარ ორმოს, რაც ასევე კარგია.

P. S. „ამ გადაწყვეტილებას არანაირი კავშირი არა აქვს უგულავას ბრალეულობის საკითხთან, რასაც სასამართლო დაადგენს“, — წერს ვასილ მაღლაფერიძე.

მგლები ნიღაბს მოიხსნიან, დაგლეჯის გეშინოდეთ, კოჰაბიტაციის ავტორებო!

„ცხოვრებაში არასოდეს გამხარებია ადამიანის ციხეში ყოფნა, არც ახლა მიხარია, მაგრამ, უგულავას გამოშვება ერთმნიშვნელოვნად გამოაცოცხლებს „ქართული ოცნების“ ცხვრის ქურქში გადაცმულ მგლებს და იმ საკვანძო თანამდებობებზე მომუშავე „ძველ“ კადრებს, რომლებიც კოჰაბიტაციის „სასურველი“ პერსონები გახდნენ, რომლებსაც ხელი დააფარა, „ზედემოკრატიული“ პრინციპით დარწმუნებულმა სახელისუფლო პარტიამ, ასევე „სეიფებს““ გახსნიან ის ფულიანი (ყოფილი) მინისტრები თუ ბიზნესმენები, რომლებიც, რატომღაც „ქართული ოცნების“ ზოგ-ზოგიერთმა წამოყელყელავებულმა ჯგუფებმა „ყორანივით“ გაათეთრეს და თავზე ხელი გადაუსვეს, რის სანაცვლოდ, ეშმაკმა უწყის... მგლები ნიღაბს მოიხსნიან?.. დაგლეჯის გეშინოდეთ, კოჰაბიტაციის ავტორებო!..

თუმცა, „რესპუბლიკელებსა“ და „თავისუფალ დემოკრატებს“, ამ მხრივ, თავი ქუდში აქვთ!.. კაი, ეს ყველაფერი, გასაგებია: ერთმანეთის დაგლეჯასა და დაკბენას დაჩვეული ვართ, მაგრამ ამ საცოდავ საქართველოს რა ეშველება?! ჩვენ რა გვეშველება, ხალხო?

დაგლეჯის გეშინოდეთ, კოჰაბიტაციის ავტორებო!..“, — წერს მერაბ შათირიშვილი.

სამართლიანობა აღდგა, სამართალი - ვეღარ!..

ლერი ჯახუტაშვილი მიიჩნევს, რომ გიგი უგულავას გათავისუფლებით სამართლიანობა აღდგა, თუმცა სამართალი ვერა.

„გიგი უგულავა თავისუფალია...

გილოცავთ — ამ ქვეყანაში სასამართლოზე ზეწოლა აღარ ხდება!

ასევე გისამძიმრებთ, რადგან თავისუფალი სასამართლოს და ნაციონალი პროკურორების ხელში მალე ყველა ნაციონალი კანონდამრღვევი ციხის კედლებს დატოვებს... სამართლიანობა აღდგა, სამართალი ვერა...

ველოდებით სამართლის აღსრულებას...

მოკლედ, ამ არჩევნებზე უეჭველი წავალ, ხმას მივცემ ნაცხროვას და კმაყოფილი სახით ვუყურებ, როგორ დაიწყებენ ისევ მოსახლეობის ტერორს, ქუჩაში ბიჭების ხოცვას, ფასადების მშენებლობას, ლარის გამყარებას ნასესხები დოლარის ხარჯზე...

კმაყოფილი იმიტომ, რომ ხალხს დაავიწყდა, რა ხდებოდა სულ რამდენიმე წლის წინ საქართველოში, ხოლო გამეორება ცოდნის დედაა და კმაყოფილი ვიქნები, თუ ქართველი ერი ცოდნას გაიღრმავებს... ფურთხის ღირსიც არაა ეს ქვეყანა...“, — წერს ჯახუტაშვილი.

არასდროს დამავიწყდება, როგორ გაარტყა უგულავას ზონდერმა სახეში დახვრეტილი გეგა კობახიძის დედას!

ბესო დანელია 2009 წელს იხსენებს, აქციას, სადაც „ნაციონალური მოძრაობის“ ზონდერებმა აქციის მონაწილეები დაარბიეს.

„2009 წლის აპრილის აქციების დროს რუსთაველზე ვათენებდით ღამეს პარლამენტის წინ. შუაღამე გადასული იქნებოდა, დიდი სატვირთო მანქანა შემოვიდა თბილისის მერიის ლოგოთი. რამდენიმე ათეული ახალგაზრდა მამაკაცი ქალაქის დასუფთავების სამსახურის ფორმებში ჩაცმულნი გადმოვიდნენ მანქანიდან. კი გაგვიკვირდა, მთელი სამსახური მოჭიდავეებს რომ ჰგავდნენ, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ მივხვდით, უგულავას ზონდერები რომ იყვნენ, როდესაც ხელკეტები გადმოიღეს მანქანიდან. რამდენიმე კაცი ვიყავით და ჩვენთან ერთად ქალბატონი ნინო ბურჯანაძე, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი და ქალბატონი ნათელა მაჭავარიანი ათენებდნენ ღამეს. ქალბატონებმა რომ დაინახეს შეტევაზე წამოსული ზონდერები, წინ გადაეღობნენ მათ და არასდროს დამავიწყდება ჩემს ცხოვრებაში, როგორ გაარტყა ერთერთმა ზონდერმა სახეში ხელი ქალბატონ ნათელა მაჭავარიანს, დახვრეტილი გეგა კობახიძის დედას! მიუხედავად ჩვენი წინააღმდეგობისა, ისინი ძალიან ბევრნი იყვნენ და იმ კონკრეტულ მომენტში მოგვერივნენ, სცენაც დაგვილეწეს და აპარატურის ნაწილიც. სანამ ჩვენი ბიჭები მოვიდოდნენ დასახმარებლად, შეახტნენ თავის მანქანას და იქიდან მოგვაძახეს - ეს გიგი უგულავასგან სახსოვრადო! უგულავა დღეს თავისუფალია და უკვე დაგვემუქრა კიდეც...“, — იხსენებს დანელია.

ინტერპრესი

◎ სამშობლო გადავარჩინოთ!

არ გეკადრებათ, ძმანო კახელნო!

არა მგონია, დაგვიწყებოდეთ მიშა სააკანთ ბიჭის პრეზიდენტობის უმძიმესი წლები, სწორედ მაშინ იყო შვილივით ნაზარდ ვაზს რომ ჩეხავდით, რაღაც 40-45 თეთრად, ისიც ან ჩააბარებდით, ან არა, კილო ყურძენს. ბევრს სალოცავივით საფერებელი მამა-მარჩენალი ვენახი ჩალის ფასად გაგაყიდინათ და ახლა ბედის ამარა დარჩენილხართ.

ის კი ნაღდად არ გახსოვთ, ამ ორიოდე წლის წინათ სულით ხორცამდე გაძარცულ-გაღატაკებულთ (რა თქმა უნდა, ნაციონალებისაგან) ერის დიდმა შვილმა, ქვეყნის მხსნელმა, მეცენატმა ბიძინა ივანიშვილმა 100 მილიონი რომ გიბოძათ, თქვენ კი ადექით და, იმის ნაცვლად, ვაზისთვის და ოჯახისთვის გეპატრონათ, „მერსედესები“ შეიძინეთ.

ეს კახელმა, საღი გონების მამულიშვილმა მითხრა და მეც სიტყვასიტყვით ვიმეორებ მის ნათქვამს და კიდევ შარშან ლარად, ლარნახევრად ჩაიბარეს თქვენგან ღვინის ქარხნებმა ყურძენი და იქაც ხელისუფლების დიდი წვლილი იყო. ნუთუ არც ის გახსოვთ, მთავრობამ რომ ზედიზედ, სამი წელი (შარშანწინ, შარშან წელს) ვენახების მოსახნავი, შხამქიმიკატების, მინერალური სასუქებისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღის შესაძენად რომ დაგაფინანსათ? მსგავსი ოდესმე გინახავთ, გაგიგიათ?

იმ კახელმა ისიც მითხრა, ზოგი ჩვენებური, ძალიან გათავხედდაო, ყურძენს გაყიდის, სათავისოდ ცოტას დაიტოვებს, მერე იმ ცოტას დაწურავს, შაქრით შეაზავებსო... მერე კი „შაქარაშვილით“ უმასპინძლდება მოყვარეს და თავის თავსაცო, არ ზოგავსო. ძაან არის გაბრაზებული, თავისიანები დალანძლა კიდევაც.

წელს ღმერთმა ბარაქიანი მოსავალი მოგცათ, მაგრამ მსოფლიო აირია. აგერ რუსეთი და უკრაინა ერთმანეთს დაერივნენ. არადა, ღვინის ბაზარი იქ იყო, კიდევ თურქეთი, იქაც ბუნტია. ამ დროს ივაჟკაცა თქვენი კუთხის შვილმა, მართლაც მაგარმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ჰოდა, მილიარდნახევრიან ზესახელმწიფოს შეუამხანაგდა, იქაც გამონახა ღვინის ყიდვის მსურველები, თქვენ კი არ აცლით, ბატონი ირაკლი დიდი სტალინის შემდეგ, მეორე ქართველი კაცი, პეკინში უმაღლესი ხელისუფალთ რომ დიდი აბრეშუმის გზით ამოქმედებაზე ესაუბრებოდა, რაც საქართველოს წელში გასამართავად ძალიან საჭიროა, თქვენ ნაციონალებს, ვინმე წიკლაურს და მისთანებს აჰყევით და ერთ ამბავს ტეხთ.

რა, ხელისუფლება არ გეხმარებათ? 30-35 თეთრს მთავრობა არ გაძლევთ? დანარჩენი მეღვინეებზე, კერძო ბიზნესზეა დამოკიდებული. მიშას ხელისუფლება კი არაა, ბიზნესმენები დააყაჩაღოს, ააწიოკოს.

სტიქიით დაზარალებულთ ხომ ეხმარებიან, ზარალს უნაზღაურებენ, სახლებს უხურავენ, ეხმარებიან, ეგ არაფერია? ძმანო, კახელნო, გონს მოეგეთ, ნაციონალები და მათი ამფსონები ისედაც ყელში უჭერენ ამ ხელისუფლებას, **მათი მიზანი ერთია, ოღონდ მიშა დააბრუნონ, თვითონ აღზევდნენ, და საქართველო და ქართველობა ჭირსაც წაუღია.**

გონს მოეგეთ, ძმანო კახელნო, წლევანდელი მოსავლის ჩაბარებით არ წყდება ყველაფერი. ქვეყანა ნელა, მაგრამ წელში იმართება, ღვინოსაც ექნება გასავალი, თქვენც და სხვებმაც ლუდის მაგივრად ნაღდი ქართული ღვინო დააგემოვნეთ და ყველაფერი რიგზე იქნება.

გივი ჯახუა,

P. S. ძმანო კახელნო, თქვენი კუთხის საამაყო შვილს, პატარა კახივით შეუპოვრად რომ ებრძვის გარეშე და შინაურ მტრებს, იმისი ნაცვლად, მხარში დაუდგეთ, გაამხნევოთ, გული გაუმაგროთ, თქვენ ბუნტს უწყობთ. ეგ არ გეკადრებათ, ქვეყანას უმძიმესი დღეები უდგას და ასეთ დროს ქართლ-კახეთი, მთლიანად საქართველო ერთ მუშტად უნდა შეიკრას.

სამშობლო გადავარჩინოთ.

გ. ჯ.

◎ ალიან-ჩალიანი

რთველი აქტიურ ფაზაში გადადის

18 სექტემბრის მონაცემებით, კახეთის რეგიონში 14 ათას ტონამდე ყურძენია გადამუშავებული. ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით , მათ შორის, 4 500 ტონამდე რქაწითელია, 5 300 ტონამდე საფერავი, 670 ტონამდე კახური მწვანე და 3 400 ტონაზე მეტი სხვა ჯიშის ყურძენი.

„რთველი თანდათან აქტიურ ფაზაში გადადის. განვლილი დღე-ღამის განმავლობაში 2,4 ათას ტონამდე ყურძენი გადამუშავდა. რთველი კახეთის თითქმის ყველა რაიონში მიმდინარეობს, გარდა საგარეჯოსი, რომელიც პროცესში მოგვიანებით ჩაერთვება“, — აცხადებენ ღვინის ეროვნულ სააგენტოში.

მათივე ინფორმაციით, კახეთში ყურძნის გადამუშავების პროცესში ჩართულია 32 ღვინის მწარმოებელი კომპანია, მათ შორის, 11 სახელმწიფოს მიერ დაქირავებული ღვინის საწარმო.

ყურძნის გადასამუშავებლად მზადყოფნის მიზნით, ამ დროისთვის რთველის საკოორდინაციო შტაბში სულ რეგისტრირებულია 100-მდე ღვინის კომპანია.

„დავასუფთავოთ მსოფლიო, დავასუფთავოთ საქართველო!“

დედაქალაქის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისია მსოფლიოს გარემოსდაცვითი პროგრამის ფარგლებში მიმდინარე დასუფთავების სამდღიან კამპანიაში — „დავასუფთავოთ მსოფლიო! დავასუფთავოთ საქართველო“ ჩაერთო.

კომისიის თავმჯდომარის შორენა ბუხრაშვილის განცხადებით, თითოეული მოქალაქის ვალდებულებაა გარემოს მოვლა, რომელშიც იგი ცხოვრობს.

„მოგეხსენებათ, შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერითა და არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმის ორგანიზებით, თბილისსა და მის შემოგარენში დასუფთავების სამდღიანი აქცია დაიწყო, რომელშიც გარემოს დაცვის კომისია აქტიურადაა ჩართული. მიმაჩნია, რომ თითოეული ჩვენგანი მოვალეა იზრუნოს იმ გარემოზე, რომელშიც ცხოვრობს. სწორედ ამიტომ, მოვუწოდებ ჩვენს თანამოქალაქეებს, აღნიშნულ აქციაში ჩართვით, საკუთარი წვლილი შეიტანონ ამ მართლაც ძალიან მნიშვნელოვან საქმეში. ჩვენ ყველამ, ერთად უნდა ვიზრუნოთ ჩვენს გარემოზე“, — განაცხადა შორენა ბუხრაშვილმა.

ინტერპრესი

◎ ტრანსპორტი და ჩვენ

საავტომობილო საცობების თავიდან ასაცილებლად

მოძრაობის გადასახადი – მერია ხალხის რეაქციას ამოწმებს

თბილისის ცენტრალურ ქუჩებში გადაადგილებაზე გადასახადის შესაძლო დაწესებამ საზოგადოების მკვეთრი გულისწყრომა გამოიწვია. თბილისის მერიამ სასწრაფოდ უარყო ამ გადაწვეტილების სისწორე, მაგრამ როგორც ჩანს, დედაქალაქის ხელმძღვანელობა მსგავსი ტიპის კომბინაციაზე სერიოზულად ფიქრობს და სხვადასხვა გეგმასაც ამუშავებს.

როგორც თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსმა ავთანდილ სუდაძემ რადიოეთერში განაცხადა, საცობების პრობლემის გადაჭრისას დიდი ქალაქები რამდენიმე ხერხს მიმართავენ, მათ შორისაა, ქუჩებზე ფასიანი გადაადგილების დაწესება, ზოგ მონაკვეთზე კი მოძრაობა სრულად იზღუდება.

„ფაქტია, რომ მსგავსი აკრძალვების დაწესების წინაშე ჩვენც ვდგავართ. თუ თითოეული ჩვენგანი ეცდება, რომ ხელი შეუწყოს ქალაქში მოძრაობის განტვირთვას, დიდხანს შეზღუდვების დაწესება დღის წესრიგში არ დადგება. სხვა შემთხვევაში კი ოდესმე დადგება ის დღე, როცა ქალაქი იძულებული გახდება, შეზღუდვები დააწესოს, სადაც ქალაქის ყველა ქუჩაზე გადაადგილება იქნება ან ფასიანი, ან სხვა რომელიმე მეთოდით განტვირთული“, — განაცხადა სუდაძემ.

ამ გამონათქვამს დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა და თბილისის მერიამ გავრცელებული ინფორმაცია მსწრაფლ უარყო. მათი განცხადებით, გადასახადის დაწესების შესახებ გადაწყვეტილება სიმართლე არ არის. დედაქალაქის მერიის პრესსამსახურში ამტკიცებენ, რომ კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსს ავთანდილ სუდაძეს არ უთქვამს, რომ თბილისის ქუჩების ნაწილზე გადაადგილება, შესაძლოა, ფასიანი გახდეს.

„გამოქვეყნებულ ინფორმაციაში ავთანდილ სუდაძის ფრაზა არის კონტექსტიდან ამოგლეჯილი. მან ისაუბრა, რომ ზოგადად არსებობს ასეთი პრაქტიკა. ავთანდილ სუდაძეს ასეთი საკითხები არც ეხება და თბილისში, არანაირი მსგავსი გადასახადის დაწესება არ იგეგმება“, — აცხადებენ მერიაში.

ამ განმარტების მიუხედავად, ოპოზიცია დროს არ კარგავს დედაქალაქის ხელმძღვანელობის გასაკრიტიკებლად. საკრებულოს ფრაქცია „დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე ზაზა ვეკუა აცხადებს,

რომ ხელისუფლება შექმნილ ვითარებაში არაადეკვატურია და ეს ვერ განტვირთავს დედაქალაქში არსებულ საცობებს.

ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის გიორგი გუგავას აზრით კი, მსგავსი ინიციატივა, ანტისოციალურთან ერთად უკანონოცაა.

„გადაადგილებისთვის მოსახლეობა ფულს იხდის და ავსებს ბიუჯეტს, რომელიც უნდა ხმარდებოდეს გზების კეთილმოწყობას, ახალი გზების, ხიდების მშენებლობას, რაც განტვირთავს მოძრაობას. ამის ნაცვლად, ეს თანხები გამოყოფილია პრემიებისთვის, დანამატებისთვის, ახალი ჯიპების შესაძენად და უცხოეთში მივლინებებისთვის. ამიტომაა ასეთი გაუსაძლისი ვითარება ქალაქში.

უნდათ, რომ გადასახადის დაწესებით, მოსახლეობის გაყვლეფის ხარჯზე, დამატებით გაისქელონ ჯიბეები და შეივსონ პირადი ანგარიშები. მალე, ალბათ, ნარმანია დააწესებს ფეხით სიარულით გადასახადს, რომ როგორმე თვითონ კარგად იცხოვრონ“, — განაცხადა გიორგი გუგავამ.

როგორც აღმოჩნდა, მსგავსი გადასახადი მსოფლიოს არაერთ ქალაქში არსებობს. „კომერსანტის“ ინფორმაციით, არსებობს გადასახადის რამდენიმე სახეობა: ერთი — რომელსაც იხდიან გავლილი გზის მიხედვით და მეორე — გარკვეული პერიოდით გზებზე ავტომობილით გადაადგილების უფლების მოსაპოვებლად.

პირველი სახის გადასახადი მოქმედებს რუსეთში, ნორვეგიაში, პოლონეთში, საფრანგეთში და მთელ რიგ ქვეყნებში. მეორე სახის — უნგრეთში, რუმინეთში, ჩეხეთში, სლოვაკეთში და სხვა ქვეყნებში.

იმ ქვეყნების კატეგორიაში, სადაც გზებით სარგებლობის გადასახადი საერთოდ არ მოქმედებს, საქართველოცაა რეგიონის დანარჩენ ორ ქვეყანასთან ერთად.

საცობების შესამცირებლად სხვადასხვა ქვეყანაში სხვა მეთოდებსაც მიმართავენ, მათ შორის, ძვირადღირებულ პარკირებას. მაგალითად, სტოკჰოლმში ცენტრში შესვლა 1 ევროს ეკვივალენტი ღირს, ასევე მაღალია პარკირების გადასახადი, რომელიც დამოკიდებულია ადგილსა და დგომის ხანგრძლივობაზე, საშუალოდ, ესაა 1 ევრო 1 საათში.

ბექა დანელია

ახლახან ჩინეთმა წამოაყენა ამბიციური ინიციატივა „ერთი სარტყელი, ერთი გზა“, რომელმაც ერთმანეთს უნდა დაუკავშიროს აზიის, აფრიკის, ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის ეკონომიკები. ეს ინიციატივა სხვა სახელითაცაა ცნობილი „ახალი აბრეშუმის გზა“.

ისტორიული „დიდი აბრეშუმის გზის“ აღდგენაზე საქართველოში დიდი ხანია, პრაქტიკულად, მუშაობენ და ამ იდეის სარეალიზაციოდ მნიშვნელოვანი პროგრამებიც არის განხორციელებული. მათ შორის ერთ-ერთია ბაქო-თბილისი-ყარსის ტრანსეროვნული მაგისტრალი, რომლის მშენებლობა-რეაბილიტაცია დასასრულს უახლოვდება.

ჩინეთში, მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, რომელშიც მან აქცენტი ისტორიული „დიდი აბრეშუმის გზის“ აღდგენაზე გააკეთა ბაქო-თბილისი-ყარსის რეკონსტრუირებულ სარკინიგზო მაგისტრალზე მინიშნებით, ამ ტრანსეროვნული სატრანსპორტო არტერიის პრიორიტეტურობა დღევანდელ სოციალურ პროექტებს შორის თვალსაჩინოდ გამოიკვეთა.

შეიძლება ითქვას, რომ პრემიერმა ამით ჩასაფრებული სკეპტიკოსების მცდელობას — დაეკნინებინათ მაგისტრალის მნიშვნელობა და დაეგროვებინათ პოპულისტური ქულები გაცვეთილი ლოზუნგის ხშირ-ხშირი გამეორებით — „ჩვენ ქვეყანა ვართ და არა დერეფანი!“ — საბოლოოდ დაუსვა წერტილი. ამასთან, მან აღნიშნა, რომ ისტორიული „აბრეშუმის გზის“ აღდგენა არის მსოფლიო სატრანსპორტო სტრატეგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება, ხოლო ამ მიმართულების საკვანძო ქვეყნად საქართველო მოიაზრება.

ნიშანდობლივია, რომ ჩვენი ქვეყნის ეს ფუნქცია გულისხმობს არა მხოლოდ აზია-ევროპის მიმართულების ინტენსივობის გაზრდას, არამედ სამხრეთისა და ჩრდილოეთის სატრანსპორტო ვექტორის ახალ საფუძველზე ამოქმედებასაც.

დღეს, როცა ბატონ ირაკლი ღარიბაშვილის ჩინეთში ვიზიტის შემდეგ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა, გაზეთის კორესპონდენტის სამცხე ჯავახეთში მივლინება, არა მარტო ლოგიკური, არამედ აუცილებელიც იყო.

აქტუალური თემაა.

ამ პრობლემებზე ვსაუბრობთ შპს „მარაბდა-კარწახის“ ხელმძღვანელთან ოლეგ ბიჭიაშვილთან:

მსოფლიოს ერთიანი სარტყელი, ანუ ჩინეთიდან ევროპაში - საქართველოს გავლით

— ჩინეთში გამართულ შეხვედრაზე სიტყვით გამოსულმა პრემიერმა აღნიშნა, რომ უმოკლესი გზა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ საქართველოზე გადის. ამით მან კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა ჩვენი ქვეყნის გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას, — ამბობს ბატონი ოლეგი, — რკინიგზის ბაქო-თბილისი-თურქეთის მარშრუტი „ახალი აბრეშუმის გზის“ მნიშვნელოვანი მონაკვეთია, რომლის ერთი უბნის — მარაბდა-კარწახის მშენებლობა-რეაბილიტაცია ჩვენ განვახორციელეთ. ინფრასტრუქტურის სამუშაოები, მთავრობის მეთაურის განცხადების თანახმად, წლის ბოლოსთვის მთლიანად უნდა დავამთავროთ.

სატესტო მატარებელი, მოგეხსენებათ, ამ გზაზე უკვე გავატარეთ, ახლა ვემზადებით იმისთვის, რათა 2015 წლის ბოლოსთვის ორგანიზებულმა მატარებელმა გაიაროს იმ სიჩქარით, რომელიც პროექტითაა გათვალისწინებული.

ამას გარდა, გვაქვს პრიორიტეტული უბნები, რომლებსაც პირველი ეტაპის დამთავრებისთვის საექსპლუატაციოდ ჩავაბარებთ.

თუ ყურადღება მიაქციეთ, ბატონმა პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა ისიც, რომ ამ უბანზე მულტიმოდალური გადაზიდვებიც შეიძლება განხორციელდეს. განზრახული გვაქვს, რომ ამ წლის ბოლოს ახალქალაქის სადგური როგორც ნაყარი ტვირთების, ასევე გენერალური ტვირთების და, რაც მთავარია, საკონტეინერო გადაზიდვებისთვის მოვემზადოთ. ამისთვის შენდება მშრალი პორტი, ტერმინალები, რომლებიც წლის ბოლოს დასრულდება.

მოკლედ, გაშლილია ფრონტი, ინფრასტრუქტურის მოწყობა საჭირო ტემპით მიმდინარეობს.

—კერძოდ, რას გულისხმობთ, ბატონო ოლეგ?

— უბნის საექსპლუატაციოდ მოსამზადებლად, უწინარეს ყოვლისა, ლიანდაგის სამუშაოები სრულად და მთელი მოცულობით უნდა დავამთავროთ. გვინდა მოვასწროთ რკინიგზის მთლიანი ელექტრიფიცირება თუ არა, სადგურ თავფარავნამდე მაინც. ეს იმიტომ, რომ ამ სადგურამდე გზის პროფილი უაღრესად რთულია — 35-მეათასედიანი აღმართებია — და სარკინიგზო შემადგენლობის გადასაყვანად აქ აუცილებლად ელექტროწევა უნდა იქნას გამოყენებული. ხოლო თავფარავანიდან ახალქალაქამდე მონაკვეთზე, რომელიც სულ 35 კილომეტრია, საკმარისი იქნება თბომავლის წევა, რაც ჩვეულებრივი მომენტია.

— მაშასადამე, სალიანდაგო სამუშაოები და ელექტრიფიკაცია — როგორც პრიორიტეტული საკითხები?

— დიახ, სწორედ ასეა, და ჩვენი კოლექტივი, სწორედ ამ სამუშაოების პირველ რიგში დამთავრებაზეა ორიენტირებული. ამასთან ერთად, გადავწყვიტეთ ამ სპეციფიკური სამუშაოებისთვის ისეთი აუცილებელი მოწყობილობების წინასწარ შეძენის საკითხი, როგორებიცაა ამწეები, დამტვირთავები, დომკრატები და ა.შ.

დარჩენილი სამუშაოების საერთო ღირებულება დაახლოებით — 200 მილიონი დოლარია. აქედან, დამატებითი ღირებულების გადასახადი 52 მილიონამდეა. დანარჩენი ასათვისებელია.

სამუშაოები კონვეირული სისტემით მიმდინარეობს — ერთ ადგილზე მთავრდება, მეორეზე იწყება და ა.შ. ყველა საკითხი პუნქტობრივად გვაქვს აღნუსხული და შესრულებას ყოველკვირეულად ვაკონტროლებთ. იდეალური ამ ქვეყნად, მოგეხსენებათ, არაფერია. არის გარკვეული ჩამორჩენაც ზოგიერთ საკითხში, მაგრამ ჩვენი კომისიის დანიშნულებაც ის არის, რომ ყოველ ხუთშაბათს ოპერატიულად გავარკვიოთ დაბრკოლებების კონკრეტული მიზეზები და დავსახოთ მათი სასწრაფოდ დაძლევის გზები და საშუალებები. მომდევნო კვირაში ვისმენთ პასუხისმგებელი პირების ანგარიშს, თუ როგორ შეასრულეს მიცემული დავალებები.

დამკვიდრებული პრაქტიკით ყოველკვირეულად ადგილზე ვამოწმებ ობიექტს, თანაც არა მხოლოდ გაკონტროლებისთვის, არამედ იმისთვისაც, რათა ჩვენი თანამშრომლები კვლავ და კვლავ დარწმუნდნენ, რომ მათ საქმიანობას სათანადოდ ვაფასებთ.

— მორალური სტიმულირება?

— დიახ, რატომაც არა!

მართალს ამბობს ბატონი ოლეგი, დავუმოწმებ, ზაფხულის თაკარა მზეში, თუ ზამთრის ყინვაში გულმოდგინედ საქმეში ჩართულ ადამიანებს, როგორ უბრწყინდებოდათ თვალები, როცა მშენებლობის ხელმძღვანელი მოუწონებდა ნამუშევარს.

სარკინიგზო მაგისტრალიდან გადმოცემულ რეპორტაჟებში არაერთხელ მიგვიქცევია მკითხველების ყურადღება ამ დეტალისთვის.

— მშენებლობა რთული საქმეა, — განაგრძობს ბატონი ოლეგი, — არც ისე მარტივია, როგორც ზოგიერთს წარმოუდგენია. ბევრ ნიუანსს შეიცავს, ბევრი დაბრკოლება არსებობს — ობიექტურიც და სუბიექტურიც, რადგან ადამიანურ ფაქტორთან არის დაკავშირებული. ამიტომ პროფესიული მიდგომის გარდა, ადამიანური დამოკიდებულებაც პრინციპულად აუცილებელია.

— ობიექტურ სირთულეებში რას გულისხმობთ?

— უწინარეს ყოვლისა, იმ რთულ კლიმატურ პირობებს, რომლებიც საქართველოს ამ კუთხისთვისაა დამახასიათებელი და მაქსიმალურ მობილიზებას მოითხოვს.

მაგალითად, წლეულს მუშაობის დაწყება მხოლოდ აპრილის ბოლოს შევძელით: ზამთარში მოსული დიდი თოვლი დაგროვდა ლიანდაგზე, გაიყინა, მისი აღება ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა. ისევ ბუნებამ გვიშველა.

ჯერჯერობით კარგი დარი დგას, სექტემბერი ნორმალურია. მაგრამ ოქტომბერში ამინდი შეიძლება ისე გაფუჭდეს, რომ სერიოზულად დაგვაბრკოლოს. მაგრამ ამასაც ვითვალისწინებთ და ვემზადებით.

— მაგისტრალის დათვალიერებისას თქვენ რამდენჯერმე ახსენეთ „ავადმყოფი ადგილები“. რას გულისხმობდით?

— „ავადმყოფი ადგილების“ გამოწვევას მიწის ვაკისის შემადგენლობა იწვევს, კერძოდ, თიხამიწის დიდი რაოდენობა, რომელიც თანდათან იჩენს თავს. როგორც კი აღმოვაჩინეთ, დავიწყეთ პროფილაქტიკური სამუშაოები, რადგან თიხამიწიანი ვაკისზე ლიანდაგის დამონტაჟება ყოვლად დაუშვებელია. „ავადმყოფ ადგილებს“ ვჭრით და ახალი გრუნტით ვავსებთ.

— გვირაბის მშენებლობა, რომლითაც მაგისტრალი თურქეთში გადის, ერთ დროს მიჩნეული გქონდათ მალიმიტირებელ ფაქტორად. ამჟამად რა ხდება იქ, მიწისქვეშეთში?

— გვირაბი 4,4 კილომეტრის სიგრძისაა. აქედან 1830 მეტრი ჩვენს მხარესაა, დანარჩენი თურქეთის ტერიტორიაზეა. გვირაბის გათხრა მთლიანად დამთავრებულია, მიმდინარეობს კედლების და ძირის საპროექტო ნიშნულამდე გაფართოება, რომელიც ამ თვის ბოლოს დამთავრდება. გვირაბის გაყოლებით 4 მეტრსა და 35 სანტიმეტრზე ჩავდივართ მიწის სიღრმეში. ყოველდღიურად 10-12 მეტრს გავდივართ. დასასრულებელი დაგვრჩა მხოლოდ 196 მეტრი. ამას მოჰყვება მთლიანი, მონოლითური კარკასის მშენებლობა, რომლის დასრულებას რამდენიმე თვე დაჭირდება. გვირაბის მშენებლობა სრულად დამთავრდება გაისად, პირველ კვარტალში.

— მაგისტრალი თურქეთში გრძელდება. მახსენდება თქვენი ნათქვამი, რომ იქ გარკვეული პრობლემების არსებობის გამო მშენებლობის პროცესი ბრკოლდებოდა.

— თურქეთის რესპუბლიკის მხარე ჩვენს მშენებლობას დაახლოებით ერთი წლით ჩამორჩება. მაქვს ინფორმაცია, რომ იქ მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები, მაგრამ იმის გამო, რომ თურქეთში რთული პოლიტიკური მდგომარეობა შეიქმნა, განსაკუთრებით, ყარსის რაიონში, სამუშაოების შეწყვეტა გამორიცხული არ არის. ამჟამად რა მდგომარეობაა, ვერ გეტყვით.

დაბეჯითებით შემიძლია იმის თქმა, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის უბანზე, თურქეთის საზღვრამდე, სამუშაოები წლეულს დამთავრდება და რკინიგზა საექსპლუატაციოდ ჩაბარდება.

ესაუბრა
არმაზ სანეგლიძე.
თბილისი-კარწახი, 2015 წლის 10 სექტემბერი

P. S. გზა სიარულმა დალიაო, ნათქვამია, გინდაც ჩინეთის კედელივით უსასრულო იყოს. სახელმწიფოთა დამაკავშირებელი ახალი სისხლით შეივსება, კიდევ ერთი მაცოცხლებელი ძარღვი იქნება ეკონომიკური კრიზისებით არეული მსოფლიოს დამამშვიდებელი... ახლა აქ გვჭირდება ერთი ისეთი მეტაფორა, რომელიც დაიტევს პრობლემის გრანდიოზულობას და შეუხამებს აბრეშუმის სინაზეს.

თუ ვინმე იტყვის უკეთესს, ვიდრე „დიდი აბრეშუმის გზაა“, ალალ მისი!

ა. ს.

კოლხეთის ლეგენდარული მეფის, ჰელიოსის ძის, ძლევამოსილი აიეტის უმცროსი ასული მედეა დამსახურებულად ითვლება ანტიკური სამყაროს ერთ-ერთ პირველ წამალთმცოდნედ, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული ტერმინი **„მედიცინა“**. ოქროს საწმისის დასაუფლებლად კოლხეთში ჩამოსული არგონავტები, არა მარტო ამ ქვეყნის სიმდიდრემ გააოცა, არამედ მედეას სილამაზემ და განსწავლულობამაც, რომელიც მას მამიდისაგან — გრძნეული ჰეკატესაგან ჰქონდა ნასწავლი. ალექსანდრიელი მგოსნის აპოლონიოს როდოსელის პოემა **„არგონავტიკა“** ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეში შეიქმნა და ქრისტეს შობამდე მეცამეტე საუკუნის პერიოდს აღწერს. ნაწარმოების სქოლიოში დაცული მითითებებით ირკვევა, რომ ავტორს მრავალი წყარო გამოუყენებია ელინისტური პერიოდის ავტორებისა — ჰომეროსიდან დაწყებული ევრიპიდემდე დამთავრებული. აპოლონიოს როდოსელი არა მარტო კოლხეთის, ამ უძველესი პროტოქართული სახელმწიფოს კულტურას, იქ მცხოვრებ ტომთა საქმიანობასა და სიძლიერეს აღწერს, არამედ დიდ ყურადღებას უთმობს სამკურნალო მცენარეების გაშენებასა და მათგან სხვადასხვა სახის პრეპარატების დამზადებასაც, რაც ფართოდ იყო გავრცელებული კოლხეთში.

მოგვიანებით, უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე-მეოთხე საუკუნის მიჯნაზე მოღვაწე უცნობი ავტორი **„ორფიკულ არგონავტიკაში“** ჰეკატეს ბაღში არსებულ 40-მდე დასახელების მცენარეს აღწერს და განმარტავს კიდეც თუ რისთვის იყენებდა მას გრძნეული მედეა.

საქართველოში გავრცელებულ სამკურნალო მცენარეებზე, ბერძნულ მითსა და სინამდვილეზე სასაუბროდ საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში სამკურნალო მცენარეების სექტორის ხელმძღვანელს, ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიურ დოქტორს, ცენტრის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს, ქალბატონ **როზა ბიძინაშვილს** ვესტუმრე, რომელიც ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში ნახევარ საუკუნეზე მეტია, მოღვაწეობს. მხნე და ენერგიული ქალბატონი თავისი მოღვაწეობის პერიოდში იკვლევს სამკურნალო მცენარეებს და ამის შესახებ 100-ზე მეტი სამეცნიერო სტატია და პუბლიკაცია, ასევე ათობით მონოგრაფიული შრომაც აქვს გამოქვეყნებული. ქალბატონ როზასთან საუბარი იმანაც განაპირობა, რომ იგი ინიციატორია ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში შექმნას „მედეას ბაღი“.

მოგზაურობა 33 საუკუნის წინანდელ, მსოფლიოში პირველ ბოტანიკურ ბაღში

— ქალბატონო როზა, რამ განაპირობა თბილისში „მედეას ბაღის“ შექმნა და რამდენად შესაძლებელია ეს დღევანდელ პირობებში?

— მოგეხსენებათ, რომ საქართველო სამკურნალო მცენარეთა შესწავლისა და გამოყენების თვალსაზრისით უძველესი ქვეყანაა. ხალხური ფარმაკოლოგიისა და წამალთმცოდნეობის მდიდარი ტრადიციები ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობაა და ეს ტრადიციები თაობიდან თაობას გადაეცემოდა საუკუნეების მანძილზე. ყველასთვის ცნობილია, რომ ანტიკური ხანის ჰეკატეს ბაღი, რომელიც აქამომდის ლეგენდის ნაწილად და ლამაზ მითად ითვლებოდა, არქეოლოგიური გამოკვლევებითა და უამრავი მეცნიერის დასაბუთებით რეალობად იქცა.

— ესე იგი მედეას გრძნეულება მითის საზღვრებს სცდება და მის ბაღში მზარდი მცენარეები მართლაც სასწაულებს ახდენდნენ?

— რა თქმა უნდა. „ორფიკულ არგონავტიკაში“ ორმოცამდე მცენარეა დასახელებული. მაგალითად ასფოდელუსი, რომელიც სამარხებზე იზრდება იწვევს ჯადოსნურ სიზმრებს; პეონია — ქალურ სნეულებათა მთავარი წამალია და სპაზმების საწინააღმდეგო უებარი საშუალება; იფნურა, რომელსაც დიქტამნუსს უწოდებენ — გველნაკბენს კურნავს, ძაღლყურძენა — გრძნეულთა ხელოვნებისათვის გამოიყენებოდა; ფრინტა (ანემონე) — კბილის ტკივილის, სურავანდის, ქარების და თავზე მუნის სამკურნალო საშუალებად ითვლებოდა; გონგოლას თესლი შხამსაწინააღმდეგო საშუალებად მიაჩნდათ; ყოჩივარდას იყენებდნენ როგორც მათრობელა და მუცლის მოწყვეტის ძლიერ საშუალებად; სალბი ცხელი საფენებისა და გამოსავლები სახით იხმარებოდა; ლავანდა შედიოდა ჩირქგროვების სამკურნალოდ ხმარებული წამლების შემადგენლობაში; პიტნას ჭრილობის წამლად იყენებდნენ. წიწმატი კი ქვემძრომთა ძლიერი შხამსაწინააღმდეგო საშუალებაა, და ა. შ.

— აქედან გამომდინარე, სრულიად შესაძლებელია, რომ მედეა და მისი ლეგენდარული მამიდა, რომლებიც სრულყოფილად ფლობდნენ სამკურნალო მცენარეების სხვადასხვა დანიშნულებისთვის გამოყენებას, იმდროინდელ ბერძნებს გრძნეულებად ჩაეთვალათ...

— არც არის გასაკვირი, XVIII საუკუნის გამოჩენილი მოღვაწე, მსოფლიო მედიცინის ისტორიის მკვლევარი **კურტ შპრენგელი** თავის 5-ტომიან შრომას მსოფლიო მედიცინის ისტორიაზე სწორედ უძველესი კოლხეთის მედიცინის გადმოცემით იწყებს. იგი ასახელებს მედეას სამკურნალო მცენარეთა ბაღს, ჩამოთვლილი აქვს ყველა ის მცენარე, რაც იქ იზრდებოდა (რა თქმა უნდა, ძველ მითებზე დაყრდნობით) და ამ მცენარეებს ლათინურ ტრანსკრიპციასაც ურთავს. მკვლევარი წერს, რომ კოლხეთში ცნობილი ყოფილა ყურძნის წვენისა და ღვინის გამოყენება



მიკროდოზებით სხვადასხვა მცენარეების ნაყენთან შერევის საფუძველზე. მაგალითად ძაღლყურძენასა და ღვინის ნარევი გამოიყენებოდა, როგორც ტკივილგამაყუჩებელი საშუალება. ძველი კოლხები იცნობდნენ წნევისა და სიცხის დამწევ, ოფლის მომდენ, ხველების საწინააღმდეგო და სხვადასხვა საგულე საშუალებებს. მოგახსენებთ, რომ გრძნეულების ხელოვნებისათვის იყენებდნენ იგივე ზემოთ ნახსენებ ძაღლყურძენას ფესვებს ღვინოსთან შერეულს, რაც იწვევდა უსიამოვნო ზმანებებს და ხშირად სამი დღეც გრძელდებოდა, ხოლო დიდი დოზით მიღება სიკვდილს იწვევდა. ჩვეულებრივი ბელადონა, იგივე გიჟანა, ანუ შმაგა, რომელიც ხშირად გვხვდება კოლხეთში, იწვევდა სიშლეგეს, ხოლო მანდრაგორა, რომელიც შეიცავს პიოსციაზინსა და სკოპალამინს, გამაცოფებელი და დასაძინებელი საშუალება იყო.

სწორედ ამგვარი წამლებისა და ნაზავების გამოყენებით შესაძლებელი იყო ნებისმიერი ფსიქოლოგიური ზემოქმედება ადამიანზე. ასე რომ, დღევანდელი თვალით დანახული ძველი კოლხეთი და მედეას ჩადენილი სასწაულები ბერძნულ მითად აღარ გვეჩვენება — იგი რეალობაა.



— ქალბატონო როზა, ჩვენ შეგვიძლია მედეას ბაღს ვუწოდოთ პირველი ბოტანიკური ბაღი მსოფლიოში და ამით ჩვენი პირველობა „დავაპატენტოთ“?

— არ იქნება უსაფუძვლო, რომ მედეას ბაღს ბოტანიკური ბაღების პირველი პროტოტიპი დავარქვათ და ამით ძველ კოლხეთს პრიორიტეტი მივანიჭოთ, მით უმეტეს, რომ ქართველმა მეცნიერებმა დაადგინეს ამ ბაღის მდებარეობა და მისი საზღვრები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ არგონავტულ ლიტერატურაში საკმაოდ დაწვრილებით არის აღწერილი ის განსაცვიფრებელი ბაღი, რომელიც მრავალი დასახელების მცენარეს შეიცავდა. ბევრი მათგანი სხვა ქვეყნიდან იყო ჩამოტანილი და ადგილზე კულტივირებული. თუ გადავხედავთ ამ ბაღში გახარებულ მცენარეთა სიას, წარმოდგენილს ბერძნული სახელწოდებებით, დავასკვნით რომ ეს ბაღი ხელოვნურად გაშენებული სამკურნალო მცენარეთა ცოცხალი კოლექცია ყოფილა.

ისტორიამ შემოინახა მდიდარი ბაღების აღწერილობა უძველეს სახელმწიფოებში: ეგვიპტეში, ასირია-ბაბილონში, ინდოეთში, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ესენი იყო დეკორატიული, მდიდართა გასართობი ბაღები — პირველი, ჭეშმარიტი ბოტანიკური ბაღი ევროპაში მხოლოდ 1309 წელს იტალიაში, სალერნოში დაარსდა. ჰეკატესა და მისი ძმისწულის მედეას საოცარი ბაღი კი 33 საუკუნის წინათ არსებობდა.

— როგორც ვიცით, თქვენი ინიციატივაა თბილისის ბოტანიკურ ბაღში გაშენდეს „მედეას ბაღი“.

— შესაძლებელია, აუცილებელიცაა და აი, რატომ? მიიჩნევენ, რომ კოლხეთში — არესის ჭალაში არსებული ჰეკატესა და მედეას სამკურნალო მცენარეთა ბაღი იყო იმ დროისთვის ყველაზე მრავალფეროვანი და ფლორისტულად მდიდარი, ფაქტობრივად, როგორც აღვნიშნეთ, პირველი ბოტანიკური ბაღი მსოფლიოში. კოლხეთის რეგიონი გამოირჩევა თავისი ფლორიცენოტიკური კომპლექსით სახეობრივი შემადგენლობით, ეკოლოგიურადაც და ბოტანიკურ-გეოგრაფიულადაც. სწორედ აქაა წარმოდგენილი უძველესი რელიქტური, და ენდემური სახეობები. კოლხეთის ფლორის მრავალფეროვნებას უძველეს წარსულში ადასტურებს პალეობოტანიკური გამოკვლევებიც, რამაც შესაძლებელი გახადა, დადგენილიყო უძველეს წარსულში მოზარდი რიგი სახეობებისა, რომელთა შორისაა „მედას ბაღში“ მითითებული მცენარეებიც. ვფიქრობთ, უპრიანი იქნება საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის სამკურნალო მცენარეთა საკოლექციო ნაკვეთის მიმდებარე, შედარებით დაუტვირთავ მონაკვეთზე ამ უნიკალური ბაღის ლანდშაფტური კუთხის მოწყობა და იმ ძირითადი სამკურნალო მცენარეების წარმოჩენა, რომელთა მოშენებას უძველეს საქართველოში მისდევდნენ. ამ ტერიტორიაზე, რომელიც 1,7 ჰექტარია, მდებარეობს მრგვალი ფორმის აუზი, რომელიც ამჟამად გამოიყენება როგორც სარწყავი რეზერვუარი. სწორედ აქ გვაქვს ჩაფიქრებული პარტერის ტიპის განლაგების ბაღის მოწყობა. სამკუთხედის ფორმის მქონე ტუმბები, რომელთა სიმაღლეც 40-50 სანტიმეტრი იქნება, განლაგდება აუზის გარშემო, რომლებშიც ჩაირგვება მცენარეები. მიწით სავსე ტუმბები ძირის გარეშე იქნება და მასში მოთავსებული მიწა გრუნტს დაუკავშირდება. გადაწყვეტილი გვაქვს ტუმბები გაკეთდეს სხვადასხვა მასალით, თლილი ქვებით და ქართული აგურით, რაც მათი დეკორატიულობისა და ურთიერთშეხამებით ექსპოზიციას მხატვრულ სახეს მისცემს. ტუმბები მთელ ტერიტორიაზე მარადმწვანე ბუჩქებით იქნება შემოსაზღვრული. გადაწყვეტილი გვაქვს აუზის ცენტრში მედეას სიმბოლური ქანდაკების დადგმა.

— რამდენი სახის მცენარე იქნება „მედეას ბაღში“ და 33 საუკუნის წინანდელი მცენარეების წარმოდგენა თუ ინება შესაძლებელი?

— მედეას ბაღის ექსპოზიციაში წარმოდგენილი იქნება უძველესი დროიდან ცნობილი 36 სამკურნალო მცენარის სახეობა: ფარსმანდუკი, ფრინტა, სამკურნალო სატაცური, კავკასიური შმაგა, კოლხური ბზა, შროშანა, შინდი, წითელი კუნელი, ყოჩივარდა, კავკასიური იორასალამი, მაჯღვერი, იფნესა, რძიანა, კოლხური სურო, თავშავა, დიდქამა ფურისულა, სამკურნალო კატაბალახა, კულმუხო და სხვ. საინტერესო იქნება თქვენი გაზეთის მკითხველისთვის „მედეას ბაღის“ გენგეგმაც, რომელსაც სიამოვნებით გთავაზობთ. აღსანიშნავია, რომ დღეს ჩვენს ბოტანიკურ ბაღში წარმოდგენილია სამკურნალო მცენარეთა 460-ზე მეტი სახეობა.

— დიდი მადლობა ქალბატონო როზა ასეთი საინტერესო ინფორმაციისათვის და თავს უფლებას მივცემ კიდევ შეგაწუხოთ, რადგან ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო იქნება, თუ რა დაავადებებს კურნავს ეს უნიკალური მცენარეები და როგორ შეიძლება მათი გამოყენება.

— მოხარული ვიქნები, თუ ხალხს დააინტერესებს ჩვენს ბაღში შეგროვილი და გახარებული მცენარეების სამკურნალო თვისებების შესახებ ინფორმაცია.

ჩვენც მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქალბატონი როზასა და მისი კოლეგების, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ხელმძღვანელების ეს შესანიშნავი ინიციატივა. მედეას სამშობლოში, საქართველოს დედაქალაქში, საჭიროა და აუცილებელიც, იყოს „მედეას ბაღის“ ექსპოზიცია. ვფიქრობთ, ეს ექსპოზიცია ეროვნული ბოტანიკური ბაღის საერთო იერსახეს კიდევ უფრო გაამდიდრებს და მნახველთა დიდ ყურადღებას დაიმსახურებს. დედაქალაქელებსა და მათ სტუმრებს კი საშუალება ექნებათ იმოგზაურონ 33 საუკუნის წინანდელ, მსოფლიოში პირველ ბოტანიკურ ბაღში, სადაც ლეგენდარული მედეა სასწაულებს ახდენდა.

მამუკა ვაშაკიძე

საქართველოში სურსათი ძვირდება, მსოფლიოში კი – იაფდება

საერთაშორისო ბაზრებზე სურსათი პერმანენტულად იაფდება და უკვე 7-წლიან მინიმუმზე ჩამოვიდა. საქართველოში კი ყველაფერი პირიქითაა — ინფლაციის ტემპი მიზნობრივს კარგა ხანია გადაცდა, ხოლო სამომხმარებლო ბაზარზე არნახული სიძვირეა. ამ შემთხვევაში საერთაშორისო ტენდენცია რატომღაც ჩვენზე არ მოქმედებს.

2015 წლის აგვისტოში მსოფლიო ბირჟებზე, 2008 წლის დეკემბრიდან მოყოლებული, სურსათისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასების ყველაზე მკვეთრი ვარდნა დაფიქსირდა.

უცხოელი ექსპერტების მონაცემებით, საერთაშორისო ბაზარზე ფასების ინდექსი აგვისტოში, ივლისთან შედარებით, 5,2%-ით შემცირდა და 155,7 პუნქტამდე დაეცა, რაც 2008 წლის დეკემბრიდან მოყოლებული ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. სურსათის ყველა ძირითად დასახელებაზე ფასების შემცირება აღინიშნება.

კერძოდ, **მარცვლეული, ივლისთან შედარებით, 7%-ით გაიაფდა, 2014 წლის აგვისტოსთან შედარებით კი — 15,1%-ით. ჩინეთის, ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის მხრიდან მოთხოვნის შემცირებამ კი რძის პროდუქტების 9,1%-ით გაიაფება გამოიწვია.**

ივლისთან შედარებით მკვეთრი, 10%-იანი ვარდნა აღირიცხა შაქარზეც, რაც აშშ დოლართან მიმართებაში ბრაზილიური რიალის გაუფასურების შედეგია. ერთადერთი პროდუქტი, რომლის ფასის ინდექსს ცვლილება არ განუცდია, ხორცია.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ექსპერტების შეფასებით, სურსათის ფასების შემცირება გასული თვეების ტენდენციაა. ამას კი იწვევს ენერგომატარებლების გაიაფება და ჩინეთის ეკონომიკაში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებული ნეგატიური მოლოდინი. ასევე გასათვალისწინებელია სურსათის დიდი მარაგების არსებობა.

საერთაშორისო ტენდენციის საპირისპიროდ, საქართველოში გაძვირდა აბსოლუტურად ყველა დასახელების სურსათი. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2015 წლის აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, სურსათი და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასები 2,0 პროცენტით გაიზარდა, რაც თვის ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 0,58 პროცენტული პუნქტით აისახა. აგვისტოში ინფლაციის დონემ 1,0 პროცენტი შეადგინა. განსაკუთრებით გაძვირდა რძე, ყველი და კვერცხი, სურსათის ამ კატეგორიაში ფასების 9,4-პროცენტიანი ზრდაა.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კი, სურსათი და უალკოჰოლო სასმელების ფასი 6,3 პროცენტითაა მომატებული. გაძვირებულია ხილი და ყურძენი (48,3 პროცენტი), ბოსტნეული და ბაღჩეული (14,9 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (3,6 პროცენტი) და ზეთი და ცხიმი (12,0 პროცენტი).

ლარის კურსის დაბალანსება ვერაფრით ხერხდება, ამიტომ მწარმოებლები და იმპორტიორები მორიგი გაძვირებისთვის ემზადებიან. მათ არაერთხელ უთქვამთ, რომ ამჟამინდელი ფასების შესანარჩუნებლად ლარის კურსის 2.2-ის ფარგლებში დასტაბილურებაა აუცილებელი. ბოლო 2-3 დღეში დოლარი 2,5 ლარამდე ავარდა, შესაბამისად, მორიგი გაძვირება გარდაუვალია.

იგივეს ადასტურებენ სპეციალისტებიც. ეკონომისტ დემურ გიორხელიძის პროგნოზით, ფასების ზრდა გარდუვალი იქნება. მისი აზრით, სექტემბრის მიწურულს ყველაფერი უფრო აშკარა და ნათელი იქნება. სავარაუდოდ, წლიური ინფლაციის კონტურებიც გამოიკვეთება.

„რაც ახლა ხდება, მოულოდნელი არაფერია, ამაზე ჩვენ უკვე დიდი ხანია ვსაუბრობთ. უნდა დავველოდოთ, თუ რას მოიმოქმედებს როგორც სებ-ი, ასევე მთავრობა და შემდგომ შეიძლება ითქვას, რა მოხდება. ეკონომიკა არავის პატიობს შეცდომებს და არც საქართველოს ხელისუფლება იქნება ამ შემთხვევაში გამონაკლისი. ყველაფერი დამოკიდებულია იმ პოლიტიკაზე, რასაც გაატარებს მთავრობა და ეროვნული ბანკი. გადააჭარბებს თუ არა ინფლაცია ორნიშნა მაჩვენებელს, ამის თქმა სექტემბრის ბოლოსთვის შეგვეძლება. არც ეროვნულ ბანკს და არც მთავრობას კარგად არ აქვს გაცნობიერებული, თუ რა ხდება ქვეყანაში“, — დასძინა გიორხელიძემ.

გეძა დანელია

◎ კრიმინალი

თევზი ანკესით დაიჭირე, ძმაოჯან!

შსს-მ წალკაში უკანონო თევზჭერის ფაქტი გამოავლინა. ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს წალკის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1982 წელს დაბადებული მნაცაკან ს. უკანონო თევზჭერის ფაქტზე ამხილეს.

სამართალდამცველებმა მხილებულის კუთვნილი ავტომანქანის ჩხრეკისას ელექტროშოკის აპარატი და სხვადასხვა სახეობის 40 კგ თევზი ამოიღეს. უკანონოდ დაჭერილი თევზის ღირებულებამ 3 000 ლარი შეადგინა. გამოძიებამ დაადგინა, რომ მნაცაკან ს-მ თევზი წალკის რაიონის სოფელ დარაკოვში, მდინარე ქციაში, ელექტროშოკის აპარატის გამოყენებით დაიჭირა. მხილებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

თხილიპარია მეზობლებსაც არ ინდობდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1994 წელს დაბადებული ირაკლი ა. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა ოზურგეთის რაიონის სოფელ ლიხაურში, თანასოფლელი მელქის ს-ს ღია აივნიდან ტომრებში დაფასოებული 40 კგ თხილი მოიპარა, ოზურგეთში თხილის ჩამბარებელ პუნქტში 170 ლარად ჩააბარა და მიმალვა სცადა.

სამართალდამცველებმა, მომხდარიდან რამდენიმე საათში, ოზურგეთის რაიონის სოფელ ლიხაურის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

მკვლელობა გახსნილია

შსს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1965 წელს დაბადებული ზაზა ლ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით ბათუმში დააკავეს.

დაკავებულმა 17 სექტემბერს ბათუმში, ზურაბ გორგილაძის ქუჩაზე, ოჯახური კონფლიქტის დროს ურთიერთშელაპარაკებისას, 1985 წელს დაბადებულ რევაზ გ-ს ცივი იარაღით ყელის არეში ერთი ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

პარკეთილში მიგოვებული ჩვილი იპოვეს

თბილისში, ვარკეთილის დასახლების ერთ-ერთი კორპუსის ეზოში ახალდაბადებული ჩვილი იპოვეს. ახალშობილი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ იაშვილის სახელობის კლინიკაში გადაიყვანა. როგორც ექიმები აცხადებენ, ბავშვის გადარჩენა საკვარაუდოდ, შესაძლებელია.

ინტერპრესი

◎ სამომხმარებლო კალათა

ინფლაცია გვიტევს, „კალათა“ მსუბუქდება...

საქართველოში საარსებო მინიმუმის ოდენობასა და სამომხმარებლო კალათის ღირებულების სრულ შეუსაბამობაზე ლაპარაკი, წლების მანძილზე გრძელდება, მაგრამ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის ამ მხრივ რაიმე სასიკეთო ძვრას საშველი არა და არ დაადგა. პრაქტიკა მოწმობს, რომ დასაქმებულთა საშუალო ხელფასი, ხანდაზმულთა პენსია, საარსებო მინიმუმი და სამომხმარებლო კალათის შემცველობა და ღირებულება, რეალურ ყოფაში ერთმანეთს სრულიად აცდენილი საკითხებია და როდის მოვლენ ეს კატეგორიები თუნდაც დაახლოებით შესაბამისობაში, ამის მიახლოებით თქმაც პრობლემაა..

თუ რამდენად რეალურია ქვეყანაში ოფიციალურად დადგენილი საშუალო ხელფასი, რამდენად სწორად ასახავს სტატისტიკური მონაცემი ჭეშმარიტებას, ამის თაობაზე იმდენი ითქვა და დაიწერა, რომ ამ ჯერზე ამის გამეორება არ ღირს, თან ეს არც გახლავთ წინამდებარე წერილის მიზანი. იგივეს თქმა შეიძლება მიმდინარე სექტემბრიდან „ხადურის ათლარიანით“ „მომძლავრებულ“ ასაკით პენსიაზე — რამდენად ზნეობრივია ახლა უკვე 160-ლარიანი შემოსავლის ანაბრად ხანდაზმული, დამსახურებული ხალხის დატოვება, ესეც სხვა სალაპარაკო თემაა. ახლანდელ პუბლიკაციაში კი კიდევ ერთხელ გადავხედოთ, თუ როგორია ჩვენი წლევანდელი „საშემოდგომო რეალობა“, და რამდენად უნდა გვქონდეს იმის იმედი, რომ „ვიდრე იონჯა მოვიდოდეს“, „ზამთრის ფონს“ მშვიდობიანად გავალთ.

უწინაც აღგვინიშნავს, რომ ლარის გაუფასურება წლიური ინფლაციის მიზნობრივ დონეს (5-პროცენტიან ნიშნულს) კარგა ხანია, გადასცდა და 5,4 პროცენტს მიაღწია. ამ პირობებში, ცხადია, სამომხმარებლო ფასებიც გაიზარდა. **სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 295 სახეობის საქონლისა და მომსახურების მთლიანი ოდენობიდან, რომელთა მიხედვით ინფლაციის ოფიციალური მაჩვენებელი გამოითვლება, ფასებთან მიმართებაში აგვისტოში ასეთი მდგომარეობა იყო: 295-დან 237 საქონელსა თუ მომსახურებაზე ფასებმა მოიმატა; იგივე ფასები შენარჩუნდა მხოლოდ 13 სახეობაზე; ფასებმა უმნიშვნელოდ დაიკლო საქონლისა და მომსახურების 45 სახეობაზე; 80 დასახელების სასურსათო პროდუქციიდან 67-ზე ფასები გაიზარდა, მათ შორის 30 დასახელებისაზე ფასებმა 10 და მეტით, 20-ზე 15-პროცენტზე მეტით მოიმატა, ხოლო 24 დასახელების საქონელზე ფასი 20 პროცენტზე მეტით გაიზარდა.** სურსათის სასაქონლო ჯგუფში ყველაზე მეტად გაძვირებულია ხილი, ბოსტნეული, მცენარეული ცხიმები, ასევე სიმინდის ფქვილი, ქათმის გაყინული ხორცი და სხვ.

არაერთგზის გვქონია ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ საქართველოში ოფიციალურად მიღებული სამომხმარებლო კალათის შემადგენლობაში სასურსათო პროდუქციის 30-პროცენტიანი წილი აშკარად არ შეესაბამება მოსახლეობის რეალურ მოთხოვნილებას საკვებზე, თანაც არსებული ფასებით ხომ ამ 30 პროცენტის რეალურ ღირებულებას საერთოდ არ ასახავს, რადგან ამ სახეობის პროდუქციაზე თითოეული ოჯახის მიერ გაწეული ხარჯის წილი, ყოველთიურ ბიუჯეტში, სულ მცირე, მისი მთელი ოდენობის ნახევარზე მეტია.

ოფიციალურ სტატისტიკას თუ დავუჯერებთ, **სადღეისოდ საქართველოში საშუალო ხელფასია 773 ლარი.** საქსტატის მიერ გათვლილი სამომხმარებლო კალათის შემადგენელი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ხარჯი, გასაშუალებულად ასე ნაწილდება: სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე თვეში 238 ლარი იხარჯება; ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე — 22 ლარი, ბინის ქირაზე, მოხმარებული წყლის, ელექტროენერგიისა და გაზის, დასუფთავების ხარჯია 65 ლარი, ჯანმრთელობის დაცვისა — 73 ლარი, განათლების — 39 ლარი, დანარჩენების ჩამოთვლას, ჩვენი აზრით, მნიშვნელობა არა აქვს, რადგან თავად მოყვანილი ციფრები რამდენად შეესაბამება სინამდვილეს, ამის განსჯა თავად შეგიძლიათ, პატივცემულო მკითხველო. ისე კი მაინც აღვნიშნავთ, რომ გარდა ჩამოთვლილისა, სამომხმარებლო კალათაში ასევე გათვალისწინებული ალკოჰოლიანი სასმელებისა და თამბაქოს, საყოფაცხოვრებო ნივთებისა და მორთულობის, ავეჯის, სახლის თუ ბინის მოვლა-შეკეთების, დასვენების, გართობისა და კულტურის, სასტუმროების, კაფეებისა და რესტორნების (აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ამ კატეგორიისთვის „გამოყოფილი“ 37 ლარი!), ტრანსპორტისა და ზოგიერთი სხვა „რაღაც-რაღაცეებისთვის“ გათვალისწინებული ხარჯი. საგულისხმოა ისიც, რომ თავად სახელმწიფო სტატისტიკის სამსახურის ოფიციალური განმარტებით, **სამომხმარებლო კალათა საბაზრო ფასების ინდექსის გაანგარიშების საფუძველი და ყველაზე ხშირად მოხმარებადი საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალია.**

ვფიქრობთ, ამ ჩამონათვალის გაცნობის შემდეგ ეჭვი არავის შეეპარება, რომ სადღეისო სოციალურ-ეკონომიკურ ყოფაში არც მოსახლეობის ხარჯის დაახლოებით შედგენილი სტრუქტურა, არც მისი სასურსათო და არასასურსათო ნაწილების შეფარდება, არც მითითებული გასავალი, სინამდვილესთან ახლოსაც არ დგას. **მთელ რიგ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან კომპონენტებში კი (ვთქვათ, სუსრსათისა და ჯანდაცვის, კომუნალურ გადასახადებში) მოსახლეობის ხარჯი რეალურად გაცილებით დიდია,** ამდენად მარტო ამ პოზიციებზე ხალხის დანახარჯს თუ გავითვალისწინებთ, ინფლაციის ნამდვილი მაჩვენებელი გაცხადებულ 5,4 პროცენტზე გაცილებით მაღალია.

ოთარ ტურაბელიძე

სირიასა და თურქეთში მიმდინარე პროცესები სამხრეთ კავკასიისთვის რეალური საფრთხე არ არის

სირიასა და თურქეთში მიმდინარე პროცესებსზე, ამ კონფლიქტში დაპირისპირებულ მხარეებს შორის ძალთა ბალანსზე, ძირითადი მოთამაშეების პოზიციებსა და იმაზე, თუ რას შეიძლება ნიშნავდეს ამ პროცესში რუსეთის ღიად ჩართვა, ამ კონფლიქტის გამო რა სავარაუდო საფრთხეების წინაშე დგას საქართველო და, საერთოდ, სამხრეთ კავკასია, **„ინტერპრესნიუსი“** ცნობილ აღმოსავლეთმცოდნეს, მოსკოვის კარნეგის ცენტრის მკვლევარს **ალექსეი მალაშენკოს** ესაუბრა.

— ბატონო ალექსეი, სირიაში სამოქალაქო ომი თითქმის ოთხი წელია, მიმდინარეობს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ევროპას სირიიდან დევნილთა ნაკადი მიაწყდა, რუსეთმა თავისი ქვედანაყოფები სირიაში გააგზავნა, სირიაში მიმდინარე პროცესებისადმი ინტერესი მსოფლიოში კიდევ უფრო გაიზარდა. თქვენი დაკვირვებით, რა ხდება სირიაში?

— თუ ჩვენებს არ ეყოთ ჭკუა და სირიაში მიმდინარე სამოქალაქო ომში ჩაებნენ, ეს ძალიან ცუდი იქნება. პრაქტიკა გვანახებს, რომ ასეთი რამ არა მარტო რუსეთისათვის, არამედ ნებისმიერი სხვა ქვეყნისთვის, ძალიან ცუდად მთავრდება. ვნახოთ, რა იქნება, კარგია, რომ სირიიდან რუსეთში ჯერ არც ერთი კუბო არ ჩამოუსვენებიათ, ჯერ ჩვენს ქვედანაყოფებს არც ერთ მხარესთან, მათ შორის არც „ისალამური სახელმწიფოს“ დაჯგუფებებთან ბრძოლებში მონაწილეობა არ მიუღიათ.

— თქვენი რუსი კოლეგის, ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე გიორგი მირსკის განმარტებით, ახლა სირიაში ერთმანეთის წინააღმედგ ნ სხვადასხვა ძალა იბრძვის. ესენი არიან – 1. ასადის მხარდამჭერი სამთავრობო ძალები, რომლებიც ძირითადად სუნიტებისა და ალავიტებისგან არიან დაკომპლექტებული და, რომლებსაც ალავიტი და სუნიტი სამხედრო მაღალჩინოსნები ხელმძღვანელობენ, 2. სირიის სამთავრობო ძალებიდან დეზერტირებული სუნიტი ოფიცრებისგან და სამხედრო მოსახურეებისგან დაკომპლექტებული „თავისუფალი სირიის არმია“, რომლებიც ასადის რეჟიმს თურქეთში გაექცნენ და მათ თურქები და ამერიკელები დაეხმარნენ, ჰქონოდათ სამხედრო აღჭურვილობა. ისინი ისლამისტები არ არიან, მაგრამ ისინი მხარს უჭერენ სირიის დასავლურ ორიენტაციას, 3. „ნურსის ფრონტი“, რომელშიც ალ-ქაიდას გადარჩენილი მებრძოლები არიან გაერთიანებული და რომლებიც ნაკლებად სისხლის მოყვარულ ისლამისტებად მიიჩნევიან, 4. „ისლამური სახელმწიფო“, რომელიც ძირითადად ტერორისტებისაგან არიან დაკომპლექტებული და, რომლებმაც ერაყის სიდიდით მეორე ქალაქ მოსულის აღების შემდეგ ხალიფატის შექმნის შესახებ განაცხადეს. 5. სირიელი ქურთები, რომლებიც ებრძვიან როგორც სამთავრობო ძალებს, ისე ხელისუფლების ოპოზიციას და ასადის ხელისუფლებისაგან დისტანცირებასა და ერაყელ ქურთებთან დაახლოებას ცდილობენ. თქვენი აზრით, როგორია სირიაში ერთმანეთს დაპირისპირებულ სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის ძალთა სავარაუდო ბალანსი?

— მათ შორის ძალთა ბალანსის თემაზე საუბარი საკმაოდ გამიჭირდებოდა, ვინაიდან დანამდვილებით თითოეულ მათგანს რეალურად რა ძალები ჰყავთ, ამაზე საუბარი ინფორმაციის ნაკლებობის გამო ჭირს. ფაქტია, რომ არც ერთ მათგანს არ შეუძლია არსებული ვითარების სათავისოდ შეცვლა. ყველა ებრძვის ასადის რეჟიმს, მაგრამ სამოქალაქო ომი მეოთხე წელია, მიდის, ყველა მათგანი ცალ-ცალკე ცდილობს ასადის ხელისუფლების დამხობას, მაგრამ ამის გაკეთება ვერ შეძლეს. მეორე მხრივ, ვერც სამთავრობო ძალები ვერ ახერხებენ, ვერც მათთან გამკლავებას და ვერც განადგურებას.

თქვენს მიერ გაკეთებული ჩამონათვალიდან ყველაზე ბრძოლისუნარიანი და დაუნდობლები „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები არიან. ისინი სხვაზე უკეთ არიან შეიარაღებული. ერაყის ქალაქ მოსულის აღების შემდეგ, მას შემდეგ, რაც ერაყის სამთავრობო ჯარი მოსულიდან გაიქცა, მათ ხელში ჩაუვარდათ ერაყელების სამხედრო ბაზა, რომელზეც საკმაოდ ბლომად იყო ამერიკული იარაღი. ასე რომ, ყველაზე უკეთ შეიარაღებული სწორედ „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები არიან. სხვადასხვა მონაცემებით, ამ ბაზაზე რამდენიმე მილიარდის ამერიკული სამხედრო იარაღი იყო შეტანილი. თუ ასადის არმია ძირითადად რუსული იარაღითაა აღჭურვილი, მათ ხელში თანამედროვე ამერიკული იარაღი უჭირავთ. შეიარაღება არ აკლია არც „ნურსის ფრონტს“ და არც „თავისუფალი სირიის არმიას“, მაგრამ არც ერთს და არც მეორეს „ისლამურ სახელმწიფოსათვის“ სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა არ შეუძლია. ამერიკელები „თავისუფალი სირიის არმიისათვის“ სერიოზული და თანამედროვე იარაღის მიწოდებისაგან თავს იმის გამო იკავებენ, შიშობენ, რომ ეს ირაღი ისევ „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლების ხელში არ აღმოჩნდეს.

უნდა ითქვას, რომ ძალის თვალსაზრისით, საკმაოდ დიდი მოტივირებულობის გამო ბრძოლისუნარიანები არიან სირიელი ქურთები, რომელთა საერთო რაოდენობა 2 მილიონს ოდნავ აღემატება. მათ მჭიდრო კავშირები აქვთ თურქეთსა და ერაყში მცხოვრებ ქურთებთან. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ერაყელი ქურთების პოლიცია საკმაოდ ბრძოლისუნარიანია და ყველაზე მედგარ წინააღმდეგობას უწევს „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებს. ადრე თუ გვიან ასადს წასვლა მოუწევს, მაგრამ რა იქნება ამის შემდეგ? ვფიქრობ, რომ სირიაში იქნება იმაზე გაცილებით უარესი ვითარება, ვიდრე ახლაა. სრული იდიოტიზმია ამ ვითარებაში რუსეთის კონფლიქტში ჩარევა. უმჯობესი იქნებოდა, მათ ერთმანეთთან ურთიერთობა თავად გაერკვიათ.

— თქვენი აზრით, სირიის კონფლიქტისადმი აშშ-ის დამოკიდებულება როგორია, ანუ როგორ პოლიტიკას ატარებს სირიაში ვაშინგტონი?

— ჩემი დაკვირვებით, ამერიკელებმა თავადაც არ იციან, როგორ მოიქცნენ და რა გაკეთონ. ვთქვათ, ასადის რეჟიმი აღარ იქნა სირიის მმართველობაში, ასეთ შემთხვევაში ძალაუფლება ვის ხელში იქნება? ეს დღეს არავინ იცის. სირიის ოპოზიციის ერთი ნაწილი მოსკოვში დასეირნობს, მეორე ნაწილი კიდევ სხვაგან. ამაზე მანამდე იყო საჭირო ფიქრი ვიდრე არაბულ სამყაროში და, საერთოდ, მუსლიმურ ქვეყნებში ის პროცესები დაიწყებოდა, რომელიც 3-4 წლის წინათ დაიწყო და ჩვენ მას „არაბულ გაზაფხულს“ ვუწოდებთ. ახლა კი გვაქვს ის, რაც გვაქვს.

— ექსპერტთა ნაწილის მტკიცებით, ასადი ახლა ტერიტორიის მხოლოდ 20%-ს აკონტროლებს...

— თქმა იმისა, რეალურად სირიის ტერიტორიის რამდენ პროცენტს აკონტროლებენ ასადის სამთავრობო ძალები, საკმაოდ რთულია. ახლა სირიაში ისეთი ვითარებაა, როგორც თავის დროზე ავღანეთში — ერთი და იგივე ტერიტორიას დღე ერთნი აკონტროლებენ, ხოლო ღამე მეორენი. კლინტონმა ამას წინათ განაცხადა, რომ დასავლეთს თავიდანვე ბაშარისთვის უნდა დაეჭირა მხარი. ამას ახლა კი ხვდებიან, მაგრამ პრობლემა სხვა რამეშია, სირიის მოსახლეობის 75% სუნიტები არიან, 12% ალავიტები. მოკლედ, რელიგიური უმცირესობა რამდენიმე ათეული წელია მართავს რელიგიურ უმრავლესობას. და ეს მაშინ, როცა სირიელი ალავიტები შიიტები არ არიან, მაგრამ შიიტებთან უფრო ახლოს მდგომებად ითვლებიან და მათ მხარს ირანი უჭერს, ხოლო სირიელ სუნიტებს მხარს ღიად თურქეთი უჭერს.

— სირიის პროცესებში აქტიურადაა ჩართული თურქეთი...

— ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან მას, როგორც რეგიონალური ლიდერის პრეტენზიების მქონე ქვეყანას, არ შეუძლია, არ იფიქროს სირიელ სუნიტებზე, რომლებიც სირიაში ალავიტებთან არიან დაპირიპირებული, რომლებსაც მხარს ღიად უჭერს შიიტური ირანი. მეორე მხრივ, მას არ შეიძლება არ ადარდებდეს, როგორც სირიელი, ისე ერაყელი ქურთების ამ პროცესში ჩართულობა, ვინაიდან თურქეთის ტერიტორიაზე საკმაოდ ბევრი ქურთი ცხოვრობს. საერთოდ, ქურთები ცდილობენ, ერთმანეთთან ჰქონდეთ კომუნიკაცია, სირიელ და ერაყელ ქურთებს თურქეთის ქურთებთან საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობები აქვთ. ერაყელი ქურთები კი ფაქტობრივად დამოუკიდებლები არიან. თურქეთში მცხოვრები ქურთების მუშათა პარტია როგორი ექსტრემისტულ-რადიკალურიც იყო, ისეთად დარჩა. ახლა თურქებს ორ ფრონტზე უწევს ბრძოლა — ერთი სირიის, ხოლო მეორე თავად თავის ტერიტორიაზე, მათივე ქურთებთან. ანკარა შეეცადა ერაყელი ქურთებისთვის ერაყისვე ტერიტორიაზე დაერტყა და მის ტერიტორიაზე ვითარების გამწვავება აეცილებინა, მაგრამ თურქეთში უკანასკნელ კვირას განვითარებული პროცესები იმაზე მიანიშნებს, რომ ეს მას არ გამოუვიდა, ვინაიდან აშკარად სერიოზულად გააქტიურდნენ თურქეთში მცხოვრები ქურთები. თურქეთს კი უნდა მშვიდობა, რომ არც ერთ მეზობელს არ უნდა აწყენინოს და რეგიონში ენერგეტიკულ ჰაბად იქცეს, მაგრამ ახლა ეს რამდენად შესაძლებელია, ამის თქმა გამიჭირდება. ფაქტია, რომ ანკარას ეს ჯერ არ გამოსდის. ფაქტია, რომ თურქეთი ამ პროცესში ჩართულია და სხვადასხვა მიმართულებით იბრძვის.

— გასაგებია, რომ რუსეთი მხარს უჭერს ბაშარ ასადს, არ უნდა დაეცეს მისი რეჟიმი და შეინარჩუნოს ქალაქ ტარტუსში მისთვის მნიშვნელოვანი სამხედრო ბაზა, რომელიც რუსულ სამხედრო, მათ შორის წყალქვეშა გემებს, ხმელთაშუა ზღვაში მოძრაობას უიოლებს, მაგრამ სირიაში რუსული ჯარების გაგზავნას რუს პოლიტოლოგთა ნაწილი კრემლის შეცდომად მიიჩნევს. კერძოდ, ანდრეი პიონტკოვსკის აზრით, რუსეთისათვის როგორც დონბასში დაწყებული ავანტიურა აღმოჩნდა ხაფანგი, ისეთივე ხაფანგი იქნება სირიაში ჯარების გაგზავნა. ახლა, როცა სირიაში აბსოლუტურად გაურკვეველი ვითარებაა, თქვენი აზრით, რისთვის დასჭირდა პუტინს სირიაში რუსული ჯარების გაგზავნა?

— ახლო აღმოსავლეთი კავკასია არ არის, შესაბამისად, სულაც არაა გამორიცხული, რომ სირიაში ჯარების გაგზავნით ეს რუსეთისათვის მეორე ავღანეთი აღმოჩნდეს. აი, რისთვის დასჭირდა პუტინს სირიაში ჯარების გაგზავნა, ამ კითხვაზე პასუხი მე კი არა, პრეზიდენტმა პუტინმა უნდა გასცეს. სამწუხაროდ, პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სიბრიყვის ფაქტორი. ვფიქრობ, რომ კრემლში ამ გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელოვანწილად სწორედ სიბრიყვის ფაქტორმა იმუშავა.

რუსული სახელისუფლო პროპაგანდა ცდილობს, მომხდარი წარმოაჩინოს რუსეთის, როგორც ზესახელმწიფოს სწორი ნაბიჯი, რომ დაიცვას სსრკ-ის მოკავშირე ასადების რეჟიმი. მაგრამ, პრობლემა ისაა, რომ თანამედროვე მსოფლიოში, განსაკუთრებით უკრაინაში, რუსეთის მოქმედებების ფონზე საქმე ასე ვერ გაკეთდება. ანუ, საჭიროა უფრო მეტად ჭკვიანური ნაბიჯების გადადგმა.

— ისეთი პირი უჩანს, რომ სირიაში დაწყებული კონფლიქტი კარგა ხანს გაგრძელდება...

— დიახ, ასეა. ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტები საკმაოდ დიდი ხანია, არსებობს და ვერა და ვერ მოიძებნა მათი გადაწყვეტის გზები. ახლა საქმეს ისიც ართულებს, რომ მასში თითქმის ყველა ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოა ჩართული. გარდა ამისა, ვხედავთ, რომ ის, რაც ახლა სირიაში ხდება, მუსლიმურ სამყაროში აშკარად რელიგიური ნიშნით სხვადასხვა ჯგუფების დაპირისპირებაა. ჩემთვის გაუგებარია, რუსეთი რატომ ერევა ამ პროცესში. უნდა თურქეთს, რომ ასადს ებრძოლოს, უნდა, რომ ებრძოლოს თურქეთში და ერაყში მცხოვრებ ქურთებს? ებრძოლოს! უნდა თეირანს, რომ დაუპირისპირდეს სუნიტებს? დაუპირისპირდეს! ჩვენ რა შუაში ვართ. ვინც და როგორადაც არ უნდა ჩაერიოს, ქურთები არ შეწყვეტენ ბრძოლას არც ერაყის, არც თურქების და არც სირიის წინააღმდეგ.

— თქვენი შეფასებით, რამდენად დიდია ალბათობა, რომ თურქეთსა და სირიაში განვითარებული პროცესები შესაძლოა, აღმოჩნდეს სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გააქტიურების საბაბიცა და მიზეზიც?

— არა, რა თქმა უნდა, არ ვფიქრობ, რომ ეს პროცესები შეიძლება აღმოჩნდეს სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გააქტიურების არც მიზეზი და არც საბაბი. ვფიქრობ, რომ ამგვარი შიშები აშკარად გადაჭარბებულია. სირიასა და თურქეთში მიმდინარე პროცესები საქართველოსა და, საერთოდ, სამხრეთ კავკასიისთვის რეალურ საფრთხეს არ წარმოადგენს. ახლო აღმოსავლეთში განვითარებული პროცესებს შესაძლოა გარკვეული გამოძახილი ჰქონდეს ჩრდილეოთ კავკასიაში, მაგრამ არა საქართველოში, ან აზერბაიჯანში. პანკისის თემა დახურულია და აზერბაიჯანშიც რელიგიურმა მოძრაობებმა, რომლებიც ექსტერემისტულად იყვნენ მიჩნეული, ილხამ ალიევის ხელისუფლების მხრიდან სერიოზული ზეწოლა განიცადეს. ქართველი კოლეგებისგან ვიცი, რომ სირიაში ახლა 400-მდე საქართველოს მოქალაქე იმყოფება „ისლამური სახელმწიფოს“ დროშის ქვეშ. თუ რამდენად შეიძლება ისინი წარმოადგენდნენ საქართველოსათვის საფრთხეს, ეს, ალბათ, ჩემმა ქართველმა კოლეგებმა უკეთ იციან.

კობა გენდელიანი

დედამიწის ზურგზე

როტერდამში მამაკაცის გამო, რომელიც ტუალეტში ჩაიკეტა, რკინიგზის სადგურის ევაკუაცია მოახდინეს

მგზავრი ჩაიკეტა ერთ-ერთი მატარებლის ტუალეტში. გზების ნაწილი გადაკეტეს. პოლიცია შეეცადა, დაეწყო საუბარი მამაკაცთან, მაგრამ ამჟამადაც კი უცნობია, წარმატებით დამთავრდა თუ არა ეს მცდელობანი.

ბოევიკებმა პაკისტანში სამხედრო-საპაერო ძალების ბაზას შეუტიეს: დაიღუპა 22 სამხედრო, ლიკვიდირებულია 13 ტერორისტი

ისლამური რესპუბლიკის არმიის პრეს-სამსახურის მონაცემებით, ბოევიკები განთიადისას თავს დაესხნენ გარნიზონის დაცვის შენობას, რომელიც სოფელ ვადაბერის რაიონშია. შეტევის ადგილზე სასწრაფოდ გამოძახებული სწრაფი რეაგირების საბრძოლო ძალები ჩაებნენ ბოევიკებთან ურთიერთსროლებში.

„ზუსტად და ეფექტურად“: სირიელებმა დაიწყეს ახალი რუსული შეიარაღების გამოყენება

სირიის არმიამ დაიწყო ახალი მაღალი სიზუსტისა და ეფექტიანი შეიარაღების გამოყენება, რომელიც მოწოდებულია უკანასკნელი თვეების განმავლობაში რუსეთიდან. სირიის საგარეო საქმეთა სამინისტროში არ გამორიცხავენ, რომ შეუძლიათ, სთხოვონ რუსეთის სამხედროებს — შეუერთდნენ მათ საბრძოლო მოქმედებებს მთავრობის არმიის მხარეზე.

უნგრეთის ხელისუფლება ჩქარობს, დაასრულოს კედლის მშენებლობა ხორვატიასთან საზღვარზე, რათა შეაჩეროს მიგრანტები

უნგრეთის პრემიერ-მინისტრის ვიქტორ ორბანის სიტყვებით, მთავარი ამოცანაა — დაასრულონ ღობის მშენებლობა კრიტიკულ მონაკვეთზე, რომლის სიგრძეც 41 კილომეტრია, 18 სექტემბრის დღის ბოლომდე. მშენებლობაზე დაკავებულია ათასზე მეტი კაცი.

ხორვატიამ ლტოლვილების გამო დახურა სასაზღვრო გადასასვლელები სერბებთან საზღვარზე

ხორვატიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ქვეყანაში შემოვიდა უკვე 11 ათასზე მეტი მიგრანტი. ორი ქვეყნის საზღვარზე 8 გადასასვლელიდან ღიად რჩება მხოლოდ ერთი. სერბეთი, რომელმაც შემოუშვა მიგრანტები, გამოვიდა მკვეთრი კრიტიკით.

ჩილეში მოხდა მეორე მიწისძვრა, პირველის მსხვერპლთა რიცხვმა 12 კაცს მიაღწია

5,4 მაგნიტუდის მიწისძვრა დაფიქსირდა პარასკევს 18 სექტემბერს ადგილობრივი დროით 01.24 საათზე. მიწისქვეშა ბიძგების ეპიცენტრი იყო ქალაქ ილიაპელიდან ჩრდილო-დასავლეთში 92 კილომეტრის დაშორებით. მიწისძვრის კერა 12 კილომეტრის სიღრმეზე იყო.

◎ პატივგება

„მან მე-20 საუკუნე მოიტანა 21-ე საუკუნეში...“

ბაკეში, ჭავჭავაძის 70-ში მწერლისა და მთარგმნელის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ვახტანგ ჭელიძის მემორიალური დაფა გაიხსნა.

იდეის ინიციატორი მწერლის შვილი დავით ჭელიძეა, ხოლო განმახორციელებელი — თბილისის მერია.

ვახტანგ ჭელიძე დაიბადა 1917 წლის 10 აპრილს ოზურგეთის რაიონის სოფელ ბახვში. 1941 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის, დასავლეთ ევროპის ენისა და ლიტერატურის განყოფილება (ინგლისური ენა და ლიტერატურა). 1948წლიდან 1952 წლამდე მუშაობდა საბლიტგამის მთავარ რედაქტორად. 1955-57 წლებში იყო ჟურნალ „ნიანგის“ მთავარი რედაქტორი.

1963 წელს, პირველად მრავალი წლის შემდეგ, გამოიცა ჟურალი „ცისკარი“, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი რედაქტორი (1963-67) ვახტანგ ჭელიძე გახლდათ. 1967-73 წლებში იყო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი. 1973 წელს ვახტანგ ჭელიძე სათავეში ჩაუდგა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“, რომლის უცვლელი რედაქტორი იყო 1985 წლამდე. ამავე პერიოდში მან დაარსა ჟურნალი „ხომლი“. 1985-91 წლებში დირექტორობდა გამომცემლობა „ნაკადულს“.

ვახტანგ ჭელიძე იყო კულტურის სამინისტროს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი, კინოსტუდია„ქართული ფილმის“ მთავარი რედაქტორი, ჟურნალ-გაზეთების სარედაქციო საბჭოს წევრი.

მინიჭებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია „საბა“ — 2003 წ. ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, 1978 წელს კი — ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია. გარდაიცვალა 2005 წლის 11 ივნისს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში. 2017 წელს ვახტანგ ჭელიძის საიუბილეო — ასი წლისთავი სრულდება. სწორედ ამ თარიღთან დაკავშირებით მემორიალური დაფის გახსნა მწერლის პატივგებისთვის ერთი ნაბიჯი იყო.

ვახტანგ ჭელიძის ღვაწლზე ისაუბრა მწერალმა **როსტომ ჩხეიძემ**.

„განსაკუთრებით დასაფასებელი არიან ის ადამიანები, რომელთაც ჯოჯოხეთურ პირობებში შეინარჩუნეს დასავლეთისაკენ სწრაფვა, კულტურის უწყვეტობა და გადაგვირჩინეს ეს ქვეყანა, გადაგვირჩინეს ჩვენი კულტურა, — თქვა მან.

როსტომ ჩხეიძის თქმით, რასაც ვახტანგ ჭელიძემ ხელი შეახო, ყველაფერი ძვირფასია. ეს ის მაგალითია, რომელსაც უნდა გავყვეთ, როგორც რედაქტორს, გამომცემელს, მთარგმნელს, ბიოგრაფიული რომანის ავტორს, ესეისტს, ლიტერატურული პორტრეტების ავტორს.

„ძალიან აფასებდა მე-19 საუკუნეს და ძალიან აფასებდა იმ პიროვნებებს, რომელთაც მე-19 საუკუნე მოიტანეს ჩვენამდე. ჩვენთვის ვახტანგ ჭელიძე იმიტომ არის ძვირფასი, რომ მე-20 საუკუნე მოიტანა 21-ე საუკუნეში თავისი ძალიან დიდი მრავალმხრივობით და როცა უამრავი დაფა იხსნება მეტ-ნაკლები დამსახურების ადამიანებისა, განსაკუთრებით უნდა ვაფასებდეთ რჩეულ პიროვნებებს, გამორჩეულ ადამიანებს და დღეს თუ ვახტანგ ჭელიძე არ არის დაფასებული, ისე, რისი ღირსიც არის, ხვალ და ზეგ იგი უეჭველად დაფასდება“...

მაკა ჯოხაძის თქმით, ვახტანგ ჭელიძემ ურთულეს ვითარებაში მოახერხა და, კარგი გაგებით, ევროპული გზით წაიყვანა ქართული ლიტერატურული მდინარება.

მან ისაუბრა მასზე, როგორც რედაქტორზე, მის თვისებებზე. „ის იყო ისეთი ესთეტი, არაჩვეულებრივად ზომიერი, რომლის რედაქტორობის პერიოდშიც ჟურნალისა და გაზეთის ფურცლებზე არამცთუ უხამსობა, არამედ უხერხულ მდგომარეობაში რომ ჩაგაგდებდა, ისეთი ფრაზები კი არ გამოქვეყნებულა“.

თემურ ჩალაბაშვილის აზრით, მისი თაობა ვახტანგს, როგორც რედაქტორს ვერ მოესწრო, მაგრამ დღემდე ამაყობს, რომ სახლში, სადაც მემორიალური დაფა გაიხსნა, ვახტანგ ჭელიძესთან სტუმრად ყოფილა.

ემზარ კვიტაიშვილმა ყურადღება გაამახვილა ვახტანგ ჭელიძეზე, როგორც რედაქტორზე. იმ ადამიანებზე, რომლებსაც უყვარდათ იგი.

დაფის გახსნის ცერემონიაზე ყურადღება გამახვილდა ადამიანებზე, რომლებიც უშუალოდ ვახტანგ ჭელიძის გზას აგრძელებდნენ, მის გვერდით მოღვაწეობდნენ, საქმიანობდნენ, ერთ-ერთი ასეთი ადამიანი იყო ბატონი **ჯანსუღ ჩარკვიანი,** ადამიანი, რომელმაც იცოდა ვახტანგ ჭელიძის ფასი.

მართლაც, და ძალიან ბევრი ადამიანისთვის ეს ადგილი, სადაც ცხოვრობდა ვახტანგ ჭელიძე, იქნება ძვირფასი, ძალიან ბევრი დაინტერესდება, სად ქმნიდა უმნიშვნელოვანეს წიგნებს იგი, სად დაიწერა „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“, წიგნი-ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა ვუყურებდეთ ისტორიას, ანუ როგორ უნდა ვუყურებდეთ მომავალ საქართველოს... იმ დღეს კაცი-ლეგენდის ახალი სიცოცხლე დაიწყო....

თამარ შაიშმელაშვილი,
ჯემალ კასრაძის ფოტო

იცით თუ არა, რომ...

● მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების ფოტოგრაფის დიმიტრი ერმაკოვის ფოტოკოლექცია, რომელიც თითქმის 30 000 ნეგატივისაგან შედგება, თბილისის ნახევარსაუკუნოვანი განვითარების ისტორიის თვალსაჩინო, თითქმის ქრონოლოგიურ სურათს იძლევა.

● ქართველი თერაპევტი სპირიდონ ვირსალაძე ტროფიკული მედიცინის ერთ-ერთი დამფუძნებელია საქართველოში. მისი თაოსნობით 1916-17 წლებში თბილისში დაარსდა ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება, რომელმაც დიდი როლი შეასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დაარსებაში. ვირსალაძე იყო პირველი ქართული სამედიცინო ჟურნალ „ექიმის“ რედაქტორი (შ. მიქელაძესთან ერთად).

● მეცხრამეტე საუკუნის მოაზროვნის, ფილოსოფოსისა და ჟურნალისტის სოლომონ დოდაშვილის განმანათლებლური იდეები დაედო საფუძვლად თერგდალეულთა მოღვაწეობას.

● ცნობილმა ფილოლოგმა მიხეილ თარხნიშვილმა გამოაქვეყნა ეგვიპტეში, თებეს ნეკროპოლში აღმოჩენილი ქართული წარწერები.

● ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის მიხეილ თამარაშვილის ფრანგულენოვან წიგნს „საქართველოს ეკლესიის ისტორია“ (რომი, 1910) ვატიკანის სპეციალური პრემია მიენიჭა. მანვე აღმოაჩინა კრისტოფორო დე კასტელის სურათების ალბომი სიცილიაში.

● სერაფიმო-ზნამენსკოეს დედათა მონასტრის დამაარსებელი სქემიღუმენია ფამარი (ერისქალობაში თამარ მარჯანიშვილი) დიდი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის უფროსი და იყო. ბოლშევიკურმა მთავრობამ იგი დააპატიმრა და ირკუტსკის ოლქში ხუთი წლით გადაასახლა.

● მეთერთმეტე საუკუნის ფილოლოგმა და ფილოსოფოსმა ეფრემ მცირემ შექმნა ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგია — მის მიერ შემოღებული ბევრი ფილოსოფიური ტერმინი დღესაც გამოიყენება.

● თქმულების თანახმად, გელათის მშენებარე ტაძრიდან გადმოვარდნილ, მძიმედ დაშავებულ დავით აღმაშენებელს სამასხუთმა აქიმმა ვერაფერი უშველა, მხოლოდ სამასმეექვსე მკურნალმა, გვარად ავშანდაძემ შეძლო მეფის გადარჩენა — მან თორმეტი ფურ-ირმის ნაწველ რძეში ჩააწვინა სიკვდილის პირას მყოფი მეფე.

◎ კალათბურთი

ვენდეგა ესპანურად

უკანასკნელ წლებში საფრანგეთის ნაკრები ესპანელთათვის დაუძლეველ წინაღობად იქცა — „სამფეროვნებმა“ მრისხანე მეტოქე ჯერ ევრობასკეტზე დატოვეს უტიტულოდ, რაც ვენსან კოლეს სამწვრთნელო გენიასთან ერთად ნბა-ს სუპერვარსკვლავ ტონი პარკერის ძალისხმევით მოახერხეს, ხოლო შემდეგ კიდევ უფრო მტკივნეული მარცხი პირენეებზე გამართულ მუნდიალზე აგემეს, სადაც მასპინძლები უძლიერესი შემადგენლობით თამაშობდნენ, სტუმრებს კი თვით „სან ანტონიოს“ ლიდერი აკლდათ.

და აი, მოვიდა რევანშის დრო, თანაც ბედის ირონიით — ამჯერად უკვე ტურნირის უპირველეს ფავორიტად მიჩნეულთათვის მშობლიურ ქალაქ ლილის „მეტროპოლის“ გიგანტურ 28-ათასიან სპორტის სასახლეში, სადაც ხვალ წლევანდელი კონტინენტური ფორუმი მთავრდება.

არადა, ხომ არ გგონიათ, ნახევარფინალის წინ ფრანგებს ან საკადრო პრობლემები აწუხებდათ, ან გუნდური სულისკვეთება თუ ინდივიდუალური ოსტატობა მოაკლდათ. ნურას უკაცრავად — ისინი პაუ გაზოლის შთამბეჭდავ, უფრო ზუსტად კი გმირულ ბრძოლისუნარიანობას ემსხვერპლნენ, რომელმაც იმაზე მეტი წვლილი შეიტანა მოწინააღმდეგის დაჩოქებაში, ვიდრე ორიოდე დღის წინათ ლიტველმა მაჩიულისმა — ჩვენებურთა რბევაში.

40 ქულა — ასეთია „ჩიკაგოს“ 35 წლის ცენტრის ზღაპრული პირადი მონაგარი, ანუ ესპანელთა მთელი ნადავლის ზუსტად ნახევარი — 80:75 (დამატებით დროში, ძირითადი დრო — 66:66).

აღსანიშნავია, რომ 11-ქულიანი დეფიციტის ამოქაჩვის შემდეგ სერჯიო სკარიოლოს შეგირდები ძირითად დროშივე ახლოს იყვნენ მიზანთან, მაგრამ უკანასკნელ წამებზე ჩაგდებული სამქულიანით ნიკოლა ბატუმმა პარტნიორები იხსნა, თუმცა ოვერტაიმის კრიტიკულ ვითარებაში მანვე ზედიზედ სამი არაზუსტი საჯარიმო ტყორცნა შეასრულა.

ასე რომ, ხვალ დიდი ფინალია: ესპანეთი — სერბეთი ან ლიტვა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

კაკა-ვანესა რიბეიროს ახდენილი ოცნება

როგორც იქნა, ბრაზილიელ რიკარდო კაკასაც დაადგა საშველი და მსოფლიოს ბულვარული მედიაც, ალბათ, დაისვენებს ამ ბიჭის ოჯახური სკანდალებისა და გაუგებრობებისგან, რამეთუ კაკა თავის ცოლს კაროლინ სელიკოს უკვე საბოლოოდ დაშორდა და ახალი გულისსწორიც გამოამზეურა.

როგორც იცით, კაკა და კაროლინი ბრაზილიელი ფეხბურთელის გარჯითა და ოფლისდენით ნაშოვნ მილიონებს ვერა და ვერ იყოფდნენ და ამის გამო მარტო ადვოკატებში უამრავი ფული გასტყორცნეს. მაგრამ, როგორც იქნა, გაყრა შედგა, ქონებაც განაწილდა, კაკამ ახალი სატრფო იპოვა და ყველამ შვებით ამოვისუნთქეთ.

რიკარდო კაკას ახალი შეყვარებული არც მოდელი გახლავთ, არც მსახიობი და არც მომღერალი. ვანესა რიბეირო ბრაზილიის ერთ-ერთი ცნობილი მაღაზიების ქსელის რიგითი მენეჯერია და თურმე კაკა ბავშვობიდან უყვარდა. როგორც ჩანს, ვანესამ თავისი დიდი ხნის ოცნება აისრულა. კაკას კი, ალბათ, ბოლოს და ბოლოს ეღირსება უსკანდალებო და წყნარი ცხოვრება.

როსტომ რაჭველიშვილი



◎ ახალი სახე

უკვე გამცნეთ, რომ ანაკლიის „მომავლის ბანაკი“ საზეიმოდ დაიხურა, მაგრამ ამ მშრალი ინფორმაციით, დაგვეთანხმებით, საზოგადოების ცნობისმოყვარეობა მცირედით თუ დაკმაყოფილდებოდა.

მომავალ სეზონთან დაკავშირებული პერსპექტივის გათვალისწინებით დღეს შემოთავაზებული წერილი, ვფიქრობთ, კიდევ უფრო კარგად გაგაცნობთ ჩვენს ზღვისპირა მარგალიტსა და ქართველი ახალგაზრდების ახალ ლიდერს გიგა გაბელაიას, რომლის საბრძოლო ნათლობაც სწორედ განვლილ ზაფხულში შედგა.

საქმეან შენმან...

სადარბაზო ბარათი

დაამთავრა თბილისის მართვის ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით. სხვადასხვა დროს მუშაობდა კერძო და სახელმწიფო კომპანიებში, არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. ამჟამად იგი ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელია.

— ალბათ, „მომავლის ბანაკი“ მაინც განსაკუთრებული ფენომენია.

— გეთანხმებით, „მომავლის ბანაკი“ ცენტრის ყველაზე მასშტაბური პროექტია და საქართველოში ანალოგი არა აქვს.

პროგრამის მიზანია სხვადასხვა სახის კულტურულ-საგანმანათლებლო და გასართობ-შემეცნებითი ღონისძიებების საშუალებით საქართველოში და მის გარეთ მცხოვრები ახალგაზრდების აქტიური დასვენების უზრუნველყოფა, მათთვის არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა, ფიზიკური, სულიერი და ინტელექტუალური პოტენციალის ამაღლება, სოციალური ინტეგრაციის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობა.

— და მაინც, როგორ უნდა აიხდინონ ოცნება მათ, ვინც ანაკლიის ზღაპრულ სამყაროში მოხვედრას განიზრახავენ?

— ჩვენი ბანაკის მონაწილეებს ქვეყნის ყველა საჯარო სკოლიდან აკადემიური წარმატებებისა და სანიმუშო ყოფაქცევის გათვალისწინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არჩევს. პრიორიტეტი ენიჭებათ სოციალურად დაუცველ, იძულებით გადაადგილებულ და მრავალშვილიანი ოჯახების წევრ მოზარდებს.

ასევე, „მომავლის ბანაკს“ პირველ ნაკადზე — ა(ა)იპ საქართველოს ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაციის მიერ შერჩეული „სპორტული ოლიმპიადის“ 12-18 წლის 288 მონაწილე ესტუმრა.დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს დაევალა უცხოეთში მცხოვრები 144 თანამემამულის ჩამოყვანა ანაკლიის „მომავლის ბანაკში“. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრმა შეარჩია და მოგვაწოდა 14-18 წლის 50 მოზარდის სია.

საერთო ჯამში „მომავლის ბანაკმა“ 1728 მოზარდს უმასპინძლა.

— დამეთანხმებით, ასეთი როდენობის კონტინგენტის სათანადოდ გამასპინძლება არაერთ პრობლემასთანაა დაკავშირებული...



— დიახ, სწორედ ამიტომ გვაქვს გაფორმებული შესაბამისი მემორანდუმი სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურებთან, მათ შორის შინაგან საქმეთა, აგრეთვე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებთან, რომელთა წარმომადგენლებიც 24 საათის განმავლობაში ზრუნავენ მოზარდთა უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე.

— ბანაკის დღის განრიგზე რას გვეტყვით?

— ყოველი დღე დილის გამამხნევებელი ვარჯიშით იწყება. დღის განმავლობაში ბავშვებს საშუალება ეძლევათ, მეტი გაიგონ ტოლერანტობაზე, ეკოლოგიაზე, საქართველოს ისტორიაზე, სპორტის ეროვნულ თუ ოლიმპიურ სახეობებზე, გადაიღონ ფილმები სამოქალაქო საზოგადოების თემაზე. იმართება ნატოს საინფორმაციო ცენტრის ინტერაქტიური ტრენინგი. საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თანამშრომლებმა მოზარდებს სამაშველო ღონისძიებების გატარება და საგანგებო სიტუაციების მართვის ხელოვნება შეასწავლეს.

— იქნებ, მოკლედ ცენტრის მიზნების შესახებ მოგვიყვეთ.

— ცენტრის მთავარი მიზანი არაფორმალური განათლების პოპულარიზაცია და ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, კულტურულ-შემეცნებითი გარემოს შექმნა და სპორტული აქტივობების ჩატარებაა. ამასთან ერთად, ცენტრის მიზანია შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაცია და მეტი ჩართულობა, მოწყვლადი ჯგუფების გააქტიურება და რესოციალიზაციის ხელშეწყობა. სწორედ ამიტომ ცენტრის სპორტული და კულტურული

პროგრამების დეპარტამენტი და სამოქალაქო განათლებისა და ინტეგრაციის პროგრამების დეპარტამენტი არაერთ საინტერესო და მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებენ.

ბატონ გიგასთან საუბარი აქ შევწყვიტეთ. ვიმედოვნებთ, მასთან სასაუბროდ საბაბი კიდევ არაერთხელ მოგვეცემა. წარმატებები ვუსურვოთ მას.

ესაუბრა
გია პლატონიშვილი

ეპიტაფია

კიდევ ერთი ბერმუხა და გამორჩეული მოღვაწე დააკლდა ქვეყანას...

კარლო გარდაფხაძის გარდაცვალების გამო

კარლო გარდაფხაძე დაიბადა 1917 წლის 15 სექტემბერს ცაგერის რაიონის სოფელ ტვიშში. უმაღლესი პედაგოგიური განათლების მიღების შემდეგ წარმატებით დაამთავრა უმაღლესი პარტიული სკოლა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია.

ფართო განათლებამ, კაცთმოყვარეობის ტრადიციებზე აღზრდილი კაცის უანგარო შრომამ, ორგანიზატორული და შემოქმედებითი საქმიანობის ნიჭმა, პრინციპულობამ შეაძლებინა მას უმწიკვლოდ გაევლო პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის ხანგრძლივი, ურთულესი ცხოვრების გზა.

ახალგაზრდული საზოგადოებრივი ორგანიზაციის ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმულმა 24 წლის პარტიულმა მუშაკმა ფაშიზმთან ომის დაწყების დღეებში მიმართა სამხედრო კომისარიატს თხოვნით სამშობლოს დასაცავად ფრონტზე გაგზავნის შესახებ. თელავის სამხედრო სასწავლებელში პირველადი მხედრული მომზადების შემდეგ ახალგაზრდა ოფიცრის ასეული თავდადებით მონაწილეობდა კავკასიის უღელტეხილების დაცვის საომარ ოპერაციებში. მამაცმა მეთაურმა არაერთხელ ისახელა თავი, ერთ-ერთ ბრძოლაში იგი მძიმედ დაიჭრა.

ფრონტიდან დაბრუნებულმა მეორე ჯგუფის ინვალიდმა ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხისთვის. ნაყოფიერად იმუშავა უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის გამგედ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, შემდეგ თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პირველ მდივნად და თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივნად, სადაც წლების განმავლობაში მრავალმხრივი მოღვაწეობით მრავალ სასიკეთო საქმეს ჩაუყარა საფუძველი.

1961 წელს კ. გარდაფხაძე დაინიშნა ახალშექმნილი საქართველოს სახელმწიფო ტელერადიო კომიტეტის თავმჯდომარედ. მისი ხელმძღვანელობით საქართველოს ტელევიზია ამკვიდრებდა მაღალ ზნეობასა და სიკეთეს, ებრძოდა მანკიერებასა და სიყალბეს, სისტემატურად გადასცემდა სატირულ-იუმორისტულ და კრიტიკულ პუბლიცისტურ ციკლებს, მილიონობით მაყურებლის მოწონებით სარგებლობდნენ საქართველოს ტელევიზიასთან ჩამოყალიბებული სატელევიზიო ფილმების სტუდიისა და სატელევიზიო თეატრის ტელესპექტაკლები და ტელეფილმები. ტელემატიანე რესპუბლიკის ქალაქებში და რაიონებში მიმდინარე სამეურნეო და კულტურული აღმშენებლობის თემებზე, მისი აქტიური მონაწილეობით ქართულმა ტელევიზიამ დაამკვიდრა ერონული მუხტი, რომელიც ყოველდღიურად უხვად იფრქვეოდა ყველა ოჯახში.

ტელერადიო კომიტეტში 15-წლიანი ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის შემდეგ, 1976 წელს კ. გარდაფხაძე დაინიშნა რესპუბლიკის სოცუზრუნველყოფის მინისტრად. მინისტრის პოსტზე 12 წლის განმავლობაში მან უაღრესად დიდი და მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია რესპუბლიკის მშრომელების, პენსიონერებისა და დამსახურებული ადამიანების სოციალური ინტერესების დასაცავად, მათი მატერიალური და მორალური მხარდაჭერისთვის.

მრავალმხრივი და ნაყოფიერი იყო კ. გარდაფხაძის სადეპუტატო მოღვაწეობა 28 წლის მანძილზე საქართველოს უმაღლეს საბჭოში. რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში დეპუტატი კ. გარდაფხაძე მისთვის დამახასიათებელი ობიექტურობითა და პრინციპულობით მონაწილეობდა მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხების განხილვაში. ფართო საზოგადოებამ თითქმის გმირობის ტოლფასი შეფასება მისცა თავის დროზე მის კრიტიკულ გამოსვლას ე. წ. „პერესტროიკის“ სტრატეგიული კურსის განხორციელების პროცესში დაშვებული რიგი პოლიტიკური და ეკონომიკური შეცდომების გამო.

დიდი განათლებითა და ერუდიციით აღჭურვილი ბატონი კარლო აქტიურად მონაწილეობდა მეცნიერულ კვლევა-ძიებაში. მან მრავალი საინტერესო ნაშრომი შექმნა, განსაკუთრებით ი. სტალინის თემაზე, სახელდობრ — „მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანები ი. სტალინის შესახებ“ და „ი. სტალინი — 125“, რომლებმაც მკითხველთა მოწონება დაიმსახურა.

კ. გარდაფხაძემ ღირსეულ მამულიშვილთან, გენერგალ-ლეიტენანტ ი. ჯორჯაძესთან ერთად 1989 წ. 21 დეკემბერს მსოფლიოში პირველად ჩამოაყალიბა ი. სტალინის იდეურ მემკვიდრეთა საერთაშორისო საზოგადოება. ნიშანდობლივია, რომ კ. გარდაფხაძე 2004 წელს აირჩიეს საქართველოს ეროვნულ-სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

პენსიაზე გასვლის შემდეგ ბატონი კარლო აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ის რესპუბლიკაში ვეტერანული მოძრაობის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ომის ინვალიდთა და ვეტერანთა კავშირის გამგეობას.

წავიდა ჩვენგან დიდი ადამიანური ღირსების მქონე მოქალაქე, მამულიშვილი, საზოგადო მოღვაწე და უღალატო მეგობარი, რომლის ცხოვრება და მოვაწეობა ქვეყნის და ხალხის საქმისადმი ერთგულებისა და თავდადების ჭეშმარიტი მაგალითი იყო.

მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება მრავალრიცხოვანი ვეტერანების, მეგობრების, ახლობლებისა და ოჯახის წევრების გულში.

ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახური, ომის შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირი, ქალაქ თბილისისა და რაიონული კავშირები, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 98 წლისა გარდაიცვალა ქართული ტელევიზიის ღვაწლმოსილი ამაგდარი, ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ჩვენი გაზეთის ერთგული მეგობარი და ავტორი, ჩინებული ადამიანი და მამულიშვილი, ქართული (სვანური) დღეგრძელობის ცოცხალი მაგალითი

კარლო გარდაფხაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, მთელ ჩვენს საზოგადოებრიობას.

ხსოვნა

მარინა ბალავაძე

კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის თანამშრომელი, ექიმი კარდიოლოგი **მარინა ბალავაძე**.

სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მოსკოვში, საკავშირო კარდიოლოგიურ სამეცნიერო ცენტრში, შემდგომ — ქვეყნის წამყვან სამედიცინო დაწესებულებებში. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1993 წლიდან კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივის წევრია. ეწეოდა ინტენსიურ სამეცნიერო მუშაობას — მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში, გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო შრომები. დიდი წვლილი აქვს შეტანილი ახალგაზრდა ექიმების აღზრდის საქმეში. 2002 წელს ქვეყნის წინაშე გაწეული ღვაწლისთვის დაჯილდოვდა ღირსების მედლით.

მისი ცხოვრება იყო თავისი საქმის, ქვეყნის, ხალხის მსახურების საუკეთესო მაგალითი.

ძალიან ძნელია ორიოდე სტანდარტული გამოსათხოვარი სიტყვით დავშორდეთ ჩვენს მარინას, ძნელია წარსულ დროში ისაუბრო ადამიანზე, რომელიც გინდა შენს გვერდით იყოს და გეიმედებოდეს. არ მოიძებნება ქვეყნად პიროვნება, რომელიც რითიმე უკმაყოფილო ან ნაწყენი იქნებოდა მასზე. როგორ უნდა გადმოვცეთ ის უდიდესი სითბო და სიყვარული, რომელიც ყოველ ჩვენგანს აკავშირებდა ამ ყოველთვის მომღიმარ, ალერსიან და თბილ, მსუბუქ და მოფარფატე, თითქოს გამჭვირვალე, ყველასთვის საყვარელ, უსაზღვროდ კეთილშობილ ადამიანთან.. ამავდროულად, ერთი შეხედვით ჰაეროვანი, ის იყო წარმოუდგენლად ძლიერი, ძლიერი ფიზიკურად და სულიერად, მტკიცე და შეუვალი თავის გადაწყვეტილებებში. მისი ცხოვრება ხომ ყოველდღიური ბრძოლა იყო — ბრძოლა ადამიანთა ჯანმრთელობისთვის, კეთილდღეობისთვის, ტკივილის შემსუბუქებისთვის. იმიტომ რომ მარინა ექიმი იყო, მოწოდებით და მთელი თავისი არსებით, ცხოვრების წესით — ექიმი. ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ან სხვა რა პროფესია შეეძლო აერჩია ადამიანს, რომელსაც უშურველად აქვს სითბო და სიყვარული შეჭირვებულისა და იმედდაკარგულისთვის.

მხოლოდ რჩეულთა ხვედრია ამ ტვირთის ღირსეულად ტარება. და ასეთი იქნება ჩვენთვის მარინას სახე ყოველთვის.

მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მან თავისი ყველაზე მძიმე და გადამწყვეტი ბრძოლა წააგო — ბრძოლა დაუნდობელ სენთან, რომელსაც ასევე თავგანწირვით ეწინააღმდეგებოდა. წარმოუდგენელიც კია, რომ რაიმეს შეეძლო ამგვარი გულითადი ადამიანის, თავისი საქმის პროფესიონალის ძლევა და ჩვენც გვინდოდა და გვჯეროდა, რომ ასე იქნებოდა. მით უფრო დაუჯერებლად გვეჩვენება მისი არყოფნა...

მიუხედავად საკუთარი სატკივარისა, მაშინაც კი, როცა თავად წარმოუდგენლად უჭირდა, არც ერთი წამით არ უთქვამს უარი სხვათა დახმარებაზე. თითქოს ცდილობდა, არაფერი დაეტოვებინა გაუკეთბელი, არავინ დაეტოვებინა გულდაწყვეტილი... მაგრამ ვერ შეძლო...

თავისი წასვლით ჩვენი სულის ნაწილიც წაიღო და უზომოდ გვატკინა... მაინც გულდაწყვეტილი დაგვტოვა ყველა: ოჯახის წევრები, მეგობრები, პაციენტები, ყველა, ვინც კი იცნობდა და რაიმე შეხება ჰქონია მასთან...

კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები.

უახლოესი მეგობრების სახელით ღრმა მწუხარებას გამოვხატავთ შესანიშნავი პიროვნების, აფხაზეთის საზოგადოების და შერვაშიძეების საგვარეულოს უბრწყინვალესი წარმომადგენლის, თვალსაჩინო ექიმის, სიკეთით სავსე, სამშობლოს გულმხურვალე პატრიოტის, გამორჩეული მეგობრის

გიორგი (გია) შერვაშიძის

გარდაცვალების გამო. პანაშვიდი 19, 20, 21 IX, მისამართი: ნუცუბიძის IV მიკრორაიონი №28ა. გამოსვენება 22 IX, 14 სთ. წმინდა სამების საკათედრო ტაძრიდან.

რეზო ხარჩილავა, მურად ანჯაფარიძე, თემურ დანელია, გურამ კაკულია, რევაზ ცინარიძე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ აფხაზეთის საზოგადოებას გამოაკლდა ღირსეული წარმომადგენელი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, ღვაწლმოსილი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აქტიური საზოგადო მოღვაწე, აფხაზეთის თავადაზნაურთა საზოგადოების თავმჯდომარე

გიორგი შერვაშიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რედაქცია **მაჩაბლის ქ. №7.**
„საქართველოს რესპუბლიკაში“ **293-37-87**

სასკოლო სახელმძღვანელოები

ადგილზე მიტანით

ფასნამატის გარეშე

მთელი საქართველოს მასშტაბით!

გამომცემლობა „ინტელექტი“ და გამომცემლობა „არტანუჯი“

15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე
გთავაზობთ უპრეცედენტო აქციას!

(032) 225 05 22; (032) 291 22 83; 599 56 76 71

მილოცვა

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები: რევაზ თევზაძე, თამაზ ცინცაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი და როლანდ იოსელიანი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ დაბადების დღეს საქართველოს საბანკო სისტემის ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელს, ერთ-ერთი ცნობილი ბანკის ყოფილ თავკაცს, ბატონ **ჯუმბერ გონაშვილს.**

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები: რევაზ თევზაძე, თამაზ ცინცაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, როლანდ იოსელიანი და ჯუმბერ გონაშვილი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ დაბადების დღეს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილ მუშაკს, ცნობილ ბიზნესმენსა და შესანიშნავ პიროვნებას, ბატონ **გურამ ახრახაძეს.**

კალეიდოსკოპი

დინოზავრებზე „უხუცესნი“

სადღეისოდ დედამიწაზე 230-ზე მეტი კუს ნაირსახეობა ბინადრობს.

უნდა ითქვას, რომ კუ დედამიწაზე ერთ-ერთი უძველესი არსებაა, რომლის წინაპრები პლანეტაზე 220 მილიონი წლის წინათ გაჩნდნენ და ჩვენს დრომდეც მოაღწიეს. შედარებისთვის შეიძლება ითქვას, რომ ისინი დინოზავრებზე უფრო ძველი ცხოველები არიან, რომლებიც, 65 მილიონი წლის წინათ გადაშენდნენ.

მარგებელი თევზეული

მელბურნის (ავსტრალია) მეცნიერთა მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ თევზის ქონი არა მარტო ამცირებს ფსიქიკურ დაავადებათა საშიშროებას, არამედ თავის სამკურნალო ეფექტს წლების შემდეგაც ინარჩუნებს.

საქმე ისაა, რომ თევზისა და მისი პროდუქტების მთავარი ფასეულობა – ცხიმოვანი მჟავები ომეგა-3, ორგანიზმზე გამაახალგაზრდავებელ და ანტიოქსიდანტურ ზემოქმედებას ახდენს, აუმჯობესებს ქსოვილების კვებასა და კიდევ მრავალ პროცესს აწესრიგებს. კვების სპეციალისტები გვირჩევენ, რომ დიდად მარგებელია როგორც მოხარშული, ისე შემწვარი თევზის კვირაში ორჯერ მაინც მოხმარება. თევზის ქონიანი კაფსულები კი იმათ უნდა მიიღონ, ვინც რაღაც მიზეზით თევზს ვერ ჭამს.

100 გრამი კი, ოღონდ რა?

რუსეთის მთავარმა ნარკოლოგმა ევგენი ბრუნმა, სააგენტო „მოსკვასთვის“ მიცემულ ინტერვიუში, დეპრესიის პროფილაქტიკისთვის მოსახლეობას ყოველდღიურად... ინდაურის ხორცის ჭამა ურჩია.

– ინდაურის ხორცი ტრიპტოფანის დონატორია, რომელიც სერატონინის მჟავის წარმომქმნელ ამინომჟავას წარმოადგენს, – განაცხადა ბატონმა ბრიუნმა. – თუკი დღეში 100 გრამ ინდაურის ხორცს მაინც მიიღებთ, სტრესების ოდენობა მკვეთრად შემცირდება.

ამასთან დაკავშირებით, ჟურნალისტებმა იხუმრეს, რომ ბატონ ბრიუნის რჩევიდან სიტყვებს „ინდაურის ხორცი“ თუ ამოვიღებთ, შედეგი, არსებითად, იგივე იქნება.

ქალისას რას გაიგებ...

ოპერის ტრფიალნი ხშირად ჩივიან, რომ ზოგჯერ არიების სიტყვებს ვერ არჩევენ მაშინაც კი, როცა ისინი მათ მშობლიურ ენაზე სრულდება. სხვათა შორის, ამ გარემოებას ყურადღებას ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში მიაქციეს.

მაგალითად, კომპოზიტორი ჰექტორ ბერლიოზი ოპერის შემთხზველთ მოუწოდებდა, რომ სხვადასხვა საკრავისთვის მუსიკალური პარტიების გაწერისას ეს გარემოება გაეთვალისწინებინათ. თუმცა, იმ დროს ამ „გაუგებრობის“ მიზეზი უცნობი იყო.

საოპერო სიმღერის „გაურკვევლობის“ საიდუმლო ცოტა ხნის წინათ ავსტრალიელმა ფიზიკოსებმა დაადგინეს. მთელი რიგი ექსპერიმენტის შემდეგ, რომლებშიც ათმა მომღერალმა ქალმა სოპრანომ მიიღო, მათ დაასკვნეს, რომ ორკესტრის ხმის გადაფარვის მცდელობაში მომღერლები პირს ზედმეტად დიდზე აღებენ, თან ტუჩებსაც ამრგვალებენ. ამის შედეგად არტიკულაცია ირღვევა, რაც მათ ბგერების მკაფიოდ წარმოთქმას უშლის, ხოლო ხმოვანები ერთი მეორეს ემსგავსებიან.

მსგავსი პრობლემა მომღერალ მამაკაცებსაც წარმოექმნებათ ხოლმე, მაგრამ იმის გამო, რომ მათი ხმები ქალებისაზე დაბალია და მძლავრი (ბანი, ბარიტონი, ტენორი), მათი გაგებაც უფრო ადვილია.

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში, „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

ნეიჯა
293-37-87
მაჩაბლის ქ. №7.

ცინცხალი ანეკდოტები

გუშინ ყაჩაღები დამესხნენ თავს. საფულე და საათი წამართვეს.

– მაგრამ შენ ხომ კრივში ჩემპიონის მედალი გაქვს!

– მედალი ვერ იპოვეს.

* * *

– **მოწმევ,** კარგად იცნობთ განსასჯელს?

– დიახ. ერთად ვმუშაობდით ბანკში.

– როდის იყო ეს?

– ორიდე თვის წინათ. დაახლოებით დილის 4 საათზე.

– **რატომ** გაიქეცით ციხიდან? – ეკითხება პოლიციელი დაკავებულ პატიმარს.

– დაქორწინება მსურდა.

– ჰმ... საკმაოზე მეტად უცნაური წარმოდგენა გქონიათ თავისუფლებაზე.

* * *

– **რობერ** ინადირე, ძვირფასო? – ეკითხება ცოლი სახლში დაბრუნებულ თავის ქმარს.

– ნორმალურად, ერთი თვე ხორცს არ ვიყიდით...

– შენ რა, ხარირემი მოკალი?

– არა... ხელფასი სასმელში დავხარჯე.

კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოში“
გრ. რობაქიძის №7

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე